


# ხობის მოამბე

№15 (7006) 16 სექტემბერი, ორშაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


### ბიძინა ივანიშვილი:
## თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავბრუნდები აქტიურ პოლიტიკაში!

### პრემიერ-მინისტრის ღია წერილი საზოგადოებას



***ჩემს გადაწყვეტილებას პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე იმდენი ვნებათაღელვა და ინტერპრეტაცია მოჰყვა, რომ საჭიროდ ვთვლი გარკვეული განმარტებები გავაკეთო. იმისათვის, რომ დავასაბუთო ჩემი გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობა, გთავაზობთ ამონარიდს პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ გაკეთებული ჩემი პირველი განცხადებიდან:***

„მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც ნათლად ვლინდება სააკაშვილის სურვილიბ ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მიმაღებინა გადაწყვეტილება, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში... დავრწმუნდი, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე ძალიან გაჭირდებოდა საჭირო შედეგის მიღება, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს.

- ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით მოვახდინოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება;
- გავარკვიოთ და ხალხთან ერთად შევიმუშაოთ ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, მოვახდინოთ ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ მომავალში არათუ საშუალება, სურვილიც კი არ გაუჩნდეს ვინმეს, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგოს;
- პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული;
- დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიყვანოთ. პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა;
- შევქმნათ რეალურად საინტერესო საინვესტიციო გარემო და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყანაში ბიზნესის აღორძინებას;
- ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული პირველი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის აღორძინებას ეხება და რეალობას დავუახლოვოთ მეორე პროექტი–ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;
- დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება;
- გავაღრმაოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია.

* * *

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას დაახლოებით ორიდან სამ წლამდე დასჭირდება. ამის შემდეგ მე ვაპირებ წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში... ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და უფრო მნიშვნელოვანი, როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და


>>>>>>>>> 3,4


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლეს, პედაგოგს და მშობელს ულოცავს ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

## „ზოგიერთ სკოლაში სწავლა 2 კვირით გადაიდება“



***„ახალი სასწავლო წელი საპრეზიდენტო არჩევნებს ემთხვევა. ძალიან რთულია, თითქმის ყაზარმულ რეჟიმზე ვართ გადასული“,–განაცხადა „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ:***

–ახალი სასწავლო წლის მთავარი სიახლე უფასო სახელმძღვანელოებია. დაახლოებით 14 მილიონი ლარის ღირებულების სახელმძღვანელოები დაიბეჭდა. სხვათა შორის, გასულ წლებში ამ სახელმძღვანელოების შეძენა მშობლებს 35 მილიონი ლარი უჯდებოდათ. წელს პირველკლასელი მოსწავლეები მიიღებენ განახლებულ პერსონალურ კომპიუტერებს, რომლებიც ადრე უფრო სათამაშოს ფუნქციას ასრულებდა.


>>>>>>>>> 6


## პირველი მაისის საეკლესიო კომპლექსში სიწმინდეები ჩამოაბრძანეს





პირველი მაისის ყოვლაწმიდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველთმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსში საქართველოს პარლამენტის წევრის გოდერძი ბუკიას უშუალო მონაწილეობით, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებულიქნა სხვადასხვა წმინდანთა წმინდა ნაწილები, რომელთა ნაწილი ამ ტაძარში დარჩება. სიწმინდეების ჩამობრძანებასთან დაკავშირებით საზეიმო ლოცვა აღავლინა ხობისა და ფოთის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა.

## ხობი კვლავ საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება



8 სექტემბერს საორგანიზაციო ჯგუფმა წინა სამუშაო შეხვედრა გამართა. ფესტივალი სლოგანით: „მზიურის ფესვებიდან“ 28-29 სექტემბერს ჩატარდება. ხეთის თეატრონზე მაყურებლის წინაშე ყველა თაობის მზიურელი წარსდგება. ერთ-ერთი მათგანი თამრიკო გვერდწითელია. სპეციალურად ამ დღისთვის გამოიცემა წიგნი სახელწოდებით „დაჰკარით დაფდაფებს“ პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობით. ფესტივალის რეჟისორია სოსო ნემსაძე.

როგორც ყველა ფესტივალი, წლევანდელიც გამორჩეული იქნება გამოცემებით, საინტერესო სტუმრებითა და ახალი რეპერტუარებით.

ხობის საერთაშორისო ფესტივალი 2003 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ ორგანიზებით შეიქმნა. იდეის ავტორი და მთავარი ორგანიზატორი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია გახლავთ.

## დავასუფთაოთ მსოფლიო!
## დავასუფთაოთ საქართველო!
## დავასუფთაოთ ხობი!

მოგიწოდებთ ყველას!

ვისაც სამშობლო გიყვართ და ქვეყნის მომავალზე ზრუნავთ, 20 სექტემბერი–ერთი დღე–დაუთმოთ ხობის მუნიციპალიტეტის დასუფთავებას. დაასუფთავეთ თქვენი ქუჩა, უბანი, სოფელი, ქალაქი ოჯახთან, მეზობლებთან და მეგობრებთან ერთად. თითოეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა არ ვიცხოვროთ დაბინძურებულ გარემოში, სტუმრებს ღირსეულად დავხვდეთ და ჯანმრთელობა გავიუმჯობესოთ. საქართველოს ბუნებას დაყრილი „ნაგავი“ არ უხდება.

მოგმართავთ ყველას! ერთად შევამციროთ სამარცხვინოდ მიმოფანტული ნარჩენი ჩვენს ქვეყანაში.

***მედეა ქობალია,***
***მწვანე მოძრაობის წარმომადგენელი ხობში.***

# თეა წულუკიანი: პრეზიდენტი უგულვებელყოფს სახელმწიფოს სხვა სტუქტურებს



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პრეზიდენტის მიერ თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიცემის ფაქტს გამოეხმაურა.

როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, იუსტიციის სამინისტრო ამოწმებს, ჰქონდა თუ არა 936 მოქალაქეს მათთვის მიმართული. წულუკიანმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გარკვეულია, რომ ერთ-ერთ მათგანს საქართველოს მოქალაქეობა აქამდე უკვე მინიჭებული ჰქონდა.

„საქართველოს პრეზიდენტი უგულებელყოფს სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებს, სერვისების განვითარების სააგენტოს, შსს-სა და იუსტიციის სამინისტროებს. მას ამ გადაწყვეტილებას ვერ მოვუწონებ“, - განაცხადა წულუკიანმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ვინც იცის ქართული ენა და შეინარჩუნა ქართველობა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. ასეთი სულ 1000-მდე ადამიანია.

„პრეზიდენტი წელიწადში ათიათასობით ადამიანს ანიჭებდა მოქალაქეობას. დღეის მონაცემებით, ადმინისტრაციაში 1000 -მდე განაცხადია შემოსული. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტრომ ძალიან ბევრ ადამიანს შეუწყვიტა მოქალაქეობა. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი მოქალაქეები“, - განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

# საპრეზიდენტო არჩევნებს ეუთოს წევრი ქვეყნების 50 პარლამენტარი დააკვირდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი „ქორთიარდ მარიოტში“ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარეს რანკო კრივოკაპიჩს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე უსუფაშვილმა სტუმარს საპარლამენტო არჩევნების დროს ეუთოს მიერ გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა. უსუფაშვილის თქმით, ეუთოს მისიას საპრეზიდენტო არჩვენების სამართლიანად ჩატარებისთვისაც განსაკუთრებული წვლილი ექნება. როგორც უსუფაშვილი ამბობს, ეუთოს მანდატი დემოკრატიის მხარდაჭერით არ შემოიფარგლება და ის უსაფრთხოების საკითხებსაც ეხება. უსუფაშვილის შეფასებით, ეუთომ, როგორც ორგანიზაციამ 2008 წლის ომი აბსოლუტურად ადეკვატურად შეაფასა.

„ეუთოს ყველა წევრი ქვეყანა, გარდა ერთისა, აღიარებს, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია . ამასთან ამ ერთი წევრი ქვეყნის გარდა, ეუთოს არცერთ წევრ ქვეყანას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა არ უღიარებია. შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ საპარლამენტო ასამბლეა ამ მიმართულებით ბევრს იმუშავებს“,-აღნიშნავს უსუფაშვილი.



მისი თქმით, შეხვედრის ერთერთი თემა ორმხრივი თანამშრომლობაც იყო. როგორც უსუფაშვილი ამბობს, მონტენეგრო და საქართველო ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე მტკიცედ დგანან. ამ მიმართულებით, საპარლამენტო თანამშრომლობა გაძლიერდება.

რანკო კრივოკაპიჩის ინფორმაციით, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებზე ასამბლეის დელეგაცია ჩამოვა, რომელშიც ეუთოს წევრი ქვეყნებიდან 50-ზე მეტი პარლამენტარი იქნება გაერთიანებული. „დელეგაციაში ბევრი ცნობილი პარლამენტარი იქნება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოში არჩევნებს უკვე აკვირდებოდნენ. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში არჩევნებს 9-ჯერ აკვირდებოდა. ის ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებით ინტერესდება. ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება და ის ევროსაბჭოს, ნატოს და სხვა მისიების სახელით გააკეთებს განცხადებას“,-აღნიშნავს კრივოკაპიჩი.

# ოქტომბერში პარლამენტი მუშაობას შეწყვეტს

ოქტომბერში პარლამენტი მუშაობას შეწყვეტს. გადაწყვეტილება კონსულტაციებზე იქნა მიღებული.

უმრავლესობის წევრის, ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, პარლამენტს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, მუშაობის ერთი თვით შეჩერების უფლება კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.

# იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით პოლონეთში გაემგზავრა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით პოლონეთში გაემგზავრა. სამუშაო ვიზიტის მიზანი პოლონეთის კოდიფიკაციის კომისიის მუშაობის შესწავლაა, რომელიც „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ ზოგადი ნაწილის გადასინჯვაზე მუშაობს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენლები ვარშავასა და კრაკოვს ეწვევიან და შეხვედრას გამართავენ სისხლის სამართლის დეპარტამენტში. დაგეგმილია სამუშაო შეხვედრა იაგელონის უნივერსიტეტშიც.

ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო აქტიურად მუშაობს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ ზოგადი ნაწილის რეფორმაზე. ამ პროცესის წარმატებით დასრულებისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც ევროპელ კოლეგებს აქვთ კანონმდებლობის გადასინჯვის კუთხით.

„იუსტიციის სამინისტრო უკვე რამდენიმე ხანია სისხლის სამართლის კოდექსის გაუმჯობესებაზე მუშაობს. მიმდინარე წლის ბოლოსთვის ჩვენ უნდა დავასრულოთ მუშაობა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილზე, ხოლო მომავალ წელს დავიწყებთ მუშაობას კერძო ნაწილის გადასინჯვაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ, გარკვეული შეხედულებები უკვე გვაქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არ იქნებოდა ინტერესმოკლებული გვცოდნოდა თუ რა გზას ადგანან ჩვენი უცხოელი კოლეგები. პოლონეთის კოდიფიკაციის კომისიას ანალოგიური ამოცანები გააჩნია - გააუმჯობესოს თავისი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შესაბამიად, საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია იუსტიციის სამინისტროდან, სადაც პროკურატურის, ადვოკატურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც შედიან, ადგილზე გაეცნობა არსებულ ვითარებას, ნახავს თუ რა ხედვები და მიდგომები გააჩნია ჩვენ კოლეგებს სისხლის სამართლის გაუმჯობესების კუთხით“ - განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.



„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ სრულად გადასინჯვა 2014 წლის ბოლომდე დასრულდება. რეფორმის ძირეული მიზანი ლიბერალიზაციის სისხლის სამართლის პოლიტიკასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა. კოდექსი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, აგრეთვე, სამართლებრივი სისტემის სხვა კომპონენტებთან, განსაკუთრებით, ახალ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან“ და იმ სამართლებრივ და სოციალურ განვითარებებთან, რაც სისხლის სამართალზე გავლენას ახდენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

# საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) ახალ ხელმძღვანელი ჰყავს. აღნიშნულ პოსტზე ანდჟეი ტიშკევიჩი ტოივო კლაარმა შეცვალა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობა საქართველოში 2014 წლის 14 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მონიტორინგს საქართველოში 2008 წლის ოქტომბრიდან აწარმოებს. მისია ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ზედამხედველობას ახორციელებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნის 260 თანამშრომლისგან შედგება.

# 20 ათასამდე ადამიანი სოციალურ შემწეობას აღარ დაკარგავს

ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, პენსიების გაზრდის გამო 20 ათასამდე ადამიანი სოციალურ შემწეობას აღარ დაკარგავს.

ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა.

„მოგეხსენებათ, სოციალური დახმარების მინიჭების სისტემაში რამდენიმე ათეული ფაქტორია და ერთ-ერთი მათგანია ფინანსური შემოსავლები, რომლებიც ქულებზე გავლენას ახდენს. რა თქმა უნდა, ალოგიკური იქნებოდა, პენსიას ქულები შეეცვალა და შესაბამისად, გარკვეულ ადამიანებს, ასეთი კი 20 ათასი აღმოჩნდებოდა, პენსიის მომატების გამო სოციალური დახმარება დაეკარგათ. როცა ჩვენ მეთოდოლოგიის მოდელირება გავაკეთეთ, მთავრობისგან ნებართვა ავიღეთ და გაზრდილი პენსიები სოციალურ შემწეობებზე გავლენას აღარ იქონიებს“, –განაცხადა სერგეენკომ.

აღნიშნულ ინიციატივას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პენსიის გადაანგარიშება სოციალურად დაუცველების კრიტერიუმებზე ზეგავლენას არ მოახდენს.

„მას შემდეგ. რაც პენსიები გაიზარდა, გაიზარდა ოჯახის მიერ მიღებული შემოსავალი. დღეს ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, მთავრობამ ამ საკითხზე იმსჯელა და პენსიის გადაანგარიშება სოციალურად დაუცველების კრიტერიუმებზე ზეგავლენას არ მოახდენს, ანუ ისინი მიიღებენ როგორც პენსიას, ისე იმ სოციალურ დახმარებას, რასაც იღებდნენ თუ რა თქმა უნდა, სხვა დამატებითი შემოსავალი არ აქვთ“,– განაცხადა ხადურმა

# თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს მე დავბრუნდები აქტიურ პოლიტიკაში!

## პრემიერ-მინისტრის ღია წერილი საზოგადოებას

1<<<<<<<<<<

მისი მთავრობა... უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს–***სწორედ ეს იყო ის მიზნები და მიზეზები, რისთვისაც მე პოლიტიკაში მოვედი.***

დიდი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მივხვდი, რომ მე აღარ მქონდა არჩევანი.–ესეც ამონარიდია ჩემი მაშინდელი განცხადებიდან. დღეს, ამ განცხადებიდან თითქმის 2 წლის თავზე, ერთგვარი კმაყოფილებით ვაცხადებ, რომ მეც და საზოგადოებასაც გვაქვს არჩევანის გაკეთების უფლებაც და შესაძლებლობაც. და თუ როგორია ეს არჩევანი, მინდა ამის თაობაზე მოგახსენოთ.

მე მოვედი ხელისუფლებაში იმიტომ, რომ დამეცვა საზოგადოება და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც იმით, რომ დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ყველაზე მეტად დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. მაგრამ საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში. საზოგადოების ხსნა მის ეფექტურობაში, მაღალი პასუხისმგებლობის უნარსა და პოლიტიკურ სიმწიფეშია. საზოგადოებამ უნდა მონახოს მექანიზმი, რომლითაც გააკონტროლებს და პარტნიორობას გაუწევს ხელისუფლებას.

ჩემი პირადი მაგალითით საზოგადოებას მინდა დავანახო, რომ აუცილებელია იყო ადეკვატური გამოწვევებისა და კონკრეტული რეალობის მიმართ. ორი წლის წინ სულ სხვა გამოწვევა ჰქონდა ჩვენს ქვეყანას და მეც იქ დავდექი, სადაც ყველაზე მეტის გაკეთება შემეძლო. დღეს სულ სხვა გამოწვევის წინაშე დგას ქვეყანა და მეც ამ გამოწვევის შესაბამისად უნდა მოვიქცე.

დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი საჯარო ფუნქციები შეიძლება სამი მიმართულებით განისაზღვროს; 1. სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); 2. პოლიტიკური (კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი); 3. საზოგადოებრივი (აქტიური მოქალაქე). მე ვაპირებ, უარი ვთქვა პირველ და მეორე (სახელისუფლებო და პოლიტიკურ) ფუნქციებზე და მთელი გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამე (საზოგადოებრივ) ფუნქციას. ამას ვაპირებ იმიტომ, რომ პირველი (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) და მეორე (მრავალპარტიული დემოკრატიის) მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე და მჯერა, რომ ჩემი გუნდის წევრები დაწყებულ საქმეს ჩემ გარეშე უფრო უკეთ გაართმევენ თავს. აი, მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით კი საკეთებელი უამრავია, გამკეთებელი ცოტაა და პირადად მე გარკვეული გარემოებების გამო ბევრი შემიძლია გავაკეთო.

***ამრიგად, მე სადმე „სხვაგან“ კი არ მივდივარ, არამედ „აქვე“ ვრჩები და მხოლოდ ჩემი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და როლის ოპტიმიზაციას ვაპირებ, რათა, ჯერ ერთი, დავიხარჯო იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდები ქვეყანას; და მეორე, პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადავუნაწილო ის ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც ქვეყანა კვლავ ერთ კაცზე ჩამოკიდებული დარჩება და ისევ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს ტრიალს.***

შევეცდები, უფრო დეტალურად ავხსნა, თუ რა არის ჩემი დღევანდელი როლი საჯარო ფუნქციების სამივე მიმართულებით, რა შეიცვლება მალე და რატომ გაუმჯობესდება ვითარება.

### 1. სახელმწიფო მმართველობა.

ვფიქრობ, მინისტრები საკმაოდ კარგად არიან შერჩეული და თუ რეალობის გათვალისწინებით გავაანალიზებთ ვითარებას, მთავრობის საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტურია. მე, როგორც მთავრობის მეთაურმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე თითოეული სამინისტროს სტრატეგიული საკითხების ჩამოყალიბებაში და ამ სტრატეგიის ფარგლებში თითოეულ მინისტრს მივეცი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების სრული თავისუფლება. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ მე ძირითადი პარამეტრების შესრულების კონტროლით ვარ დაკავებული და ყველა მინისტრი თავად უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს.

ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საკუთარ გუნდსა და საზოგადოებას შევთავაზებ, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

მე ვიძლევი გარანტიას, რომ მთავრობა დარჩება ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს. თუმცა, გარანტია, როგორც წესი, რამით უნდა იყოს გამყარებული. ჩემს შემთხვევაში კი ცოტა რთულადაა საქმე, რადგან იმ თანამდებობით ვარ პასუხისმგებელი, რომლის დატოვებასაც ვაპირებ. ამიტომ რჩება მარტო ჩემი პატიოსანი სიტყვა, რომელსაც მე ისეთივე მნიშვნელობას ვანიჭებ, როგორსაც ჩვენი წინაპრები ანიჭებდნენ. საზოგადოებაში მყოფი და საზოგადოებასთან ერთად, ჩვენ მოვახერხებთ საჯაროდ მივცეთ გუნდს შენიშვნები, რომლებიც, გარწმუნებთ, უფრო მტკივნეული და უფრო ეფექტურიც იქნება, და არა მარტო შენიშვნები, არამედ–პოზიტიური შეფასებებიც, რაც არანაკლებ საჭიროა და რაც მთავარია, თუ ჩვენ გვექნება ქვეყნისა თუ ცალკეული სამინისტროების განვითარების ჯანსაღი იდეები, არც ამ იდეების მიწოდება გახდება რთული მთავრობისა და პარლამენტისთვის.

გარდა უშუალოდ მთავრობის გამართული საქმიანობისა, ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ ევროპული ღირებულებების მატარებელი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც თავისუფალია ტრადიციული მესიანისტურ-ავტორიტარული მიდრეკილებებისგან. მიღებული გვაქვს სათანადო გადაწყვეტილებები, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებულ კონსტიტუციას, რეალურ თვითმმართველობას, დამოუკიდებელ სასამართლოსა და თავისუფალ მედიას.

### 2. კოალიციისა და პარტიის პოლიტიკური ლიდერობა.

დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მშენებლობისას ჩემი მიზანი სახელმწიფოსთან შეზრდილი მორიგი სუპერპარტიის შექმნა კი არა, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება იყო. შესაბამისად, კოალიცია „ქართული ოცნება“ არის არა „ჩემი პარტია“, არამედ მასში შემავალი პარტიების კოალიცია. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ძალაუფლებაც და პასუხისმგებლობაც ეკუთვნის არა კოალიციის ლიდერს, არამედ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს და ამ პარტიების ლიდერებს, ამიტომ დღევანდელი მმართველი კოალიციის ლიდერის წასვლა არ შეიძლება შევადაროთ დღემდე არსებული მმართველი პარტიების ლიდერების წასვლას. ჩვენ კოალიცია „ქართული ოცნება“ შევქმენით მინიმუმ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით და იგი არანაკლები ვადით იარსებებს ჩემი წასვლის შემდეგაც. მე კარგად ვაცნობიერებ ჩემს როლს კოალიციის შექმნასა და მის წარმატებაში, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, თუ რა კრიტერიუმებით შევარჩიე თანამებრძოლები, ვინ არიან ისინი და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. კოალიციაში შემავალ პარტიებში მრავალი გამოცდილი პოლიტიკოსია და არ გაჭირდება კოალიციის პოლიტიკური საბჭოს ახალი თავმჯდომარის შერჩევა, რომელიც იქნება პირველი თანასწორთა შორის და უზრუნველყოფს კოალიციის საქმიანობას გაცხადებული პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად.

ამასთანავე, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ვინმემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე გადაწყვიტოს კოალიციის გარეთ პოლიტიკური აქტიურობის გაგრძელება. ვფიქრობ, ეს იქნება კონკრეტული პირისა თუ ჯგუფის პოლიტიკური შეცდომა, რომელიც მხოლოდ მათ თავადვე დააზარალებს. ამგვარი ცალკეული მოვლენებისგან კოალიცია არც ჩემი ლიდერობის დროს არის დაზღვეული და არც ჩემ გარეშე იქნება.

გაცილებით მეტი ძალისხმევა დამჭირდება იმისათვის, რომ ჩემს წასვლამდე დასრულდეს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ორგანიზაციულ-სტრუქტურული მშენებლობა, მაგრამ ამას აუცილებლად მოვახერხებთ. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პარტიის მენეჯერი თავმჯდომარე არასოდეს ვყოფილვარ, ბუნებრივია, ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას იმ თანამოქალაქეების მიმართ, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩემს ინიციატივას და პარტიაში გაერთიანდნენ. პარტიაში საკმაოდ საინტერესო და ძლიერი გუნდია შეკრებილი, რომელსაც სხვებთან სამართლიან კონკურენციაში მოუწევს წარმატების მიღწევა მომავალ არჩევნებში, ცხადია, ჩემი ერთი ხმის გათვალისწინებით.

### 3. აქტიური მოქალაქეობა

როდესაც აქტიურ მოქალაქეზე ვსაუბრობ, მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ემოციებით პატრიოტ ადამიანს, რომელიც ყოველ წამს მზადაა სამშობლოსათვის სიცოცხლე გაწიროს. მე ვგულისხმობ გონებით პატრიოტ ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება მზადაა იფიქროს, იკამათოს და იშრომოს ქვეყნისა და მოყვასისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. გონებით პატრიოტი მოქალაქეების რაოდენობაზეა დამოკიდებული ხალხისგან მივიღებთ მასას, რომელსაც ხელისუფლება ადვილად მართავს, თუ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ხელისუფლებას თავის სამსახურში ამყოფებს.

იმის გარანტი, რომ მთავრობა დარჩეს ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანოს,–არ უნდა იყოს ერთი კაცი, არც ხელისუფლებაში და არც ხელისუფლების გარეთ.

***ამის გარანტია შეიძლება იყოს მხოლოდ ეფექტური, პასუხისმგებლობის მქონე, სწორედ რომ ევროპული ტიპის საზოგადოება. ვფიქრობ, დღეს სწორედ ესაა ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ეპოქალური გამოწვევა –ერთად ვაშენოთ ასეთი საზოგადოება.***

შესაბამისად, ჩემი ინტერესის ვექტორიც საზოგადოებისკენაა მიმართული და ჩემს ფუნქციას სწორედ იმაში ვხედავ, რომ ჩამოვაყალიბოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობით აკეთებს არჩევანს და არჩევნებში აფიქსირებს თავის პოზიციას, თუ როგორი ქვეყანა სურს მას, მეორე მხრივ კი, არჩევნების შემდეგ, მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს არჩეული მთავრობის ეფექტურობას.

საზოგადოებაში ემოციური პატრიოტიზმის დომინირების პირობებში მოქალაქეები: ა) არჩევნებში აფიქსირებენ ემოციურ პოზიციას, თუ როგორ ქვეყანაში აღარ სურთ ცხოვრება არჩევნების შემდეგ; და ბ) არჩევნების შემდეგ ან ნიჰილიზმის ჭაობში ეფლობიან, ანდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლას ცდილობენ, რაც ორივე შემთხვევაში ავტორიტარიზმისა და სახელისუფლებო განუკითხაობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

იმას, რომ დღემდე საქართველოში ემოციური პატრიოტიზმი მეფობს, ადასტურებს ხელისუფლების არჩევისა თუ შეცვლის აქამდე არსებული ყველა შემთხვევა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩათვლით. გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ თქვენ ჩვენ აგვირჩიეთ გულისა და ემოციის კარნახით, და არა ჩვენი პროგრამის გამო. თქვენ უარი თქვით წინა ხელისუფლების მარწუხებზე, განუკითხაობაზე, ძალადობაზე, სიღარიბეზე და მხარი დაუჭირეთ მას, ვისაც, თქვენი აზრით, მისი დამარცხება შეეძლო. რაც შეეხება მომავალს, ყველა ჩვენ-ჩვენი ინდივიდუალური ოცნებების ახდენას ველოდით და ნაკლებად გვაინტერესებდა, სინამდვილეში რას, როგორ და ვისი მეშვეობით გააკეთებდა ახალი ხელისუფლება. „მიშა არა, ბიძინაა მაგარი!“–ამან განაპირობა საპარლამენტო არჩევნების შედეგი. წინა სახელისუფლებო ცვლილებებისას სწორედ ასეთ ლოზუნგებს მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება, სისხლისღვრა და რევოლუცია.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ „ვახერხებთ“ მთავრობის კონტროლს, საკმარისია გავაანალიზოთ თუნდაც სააკაშვილის მთავრობის ნამოქმედარი: გავსებული ციხეები, 300 ათასი პრობაციონერი, გაღატაკებული და დანგრეული სოფელი, მთლიანად კონტროლირებადი ბიზნესი და მედია, ნულამდე დაყვანილი ადამიანის უფლებები...

ამასობაში, ეს ხალხი ახერხებდა გარეთ–ევროპასა და ამერიკაში–ჩვენი ქვეყანა რეგიონში დემოკრატიის შუქურად წარმოეჩინა. არ შეგვეშალოს და ჩვენი შეცდომები ევროპასა და ამერიკას არ გადავაბრალოთ. პირიქით, ჩვენი უუნარობითა და არასწორი მოქმედებით მივეცით საშუალება ჩვენს არჩეულ მთავრობას ჩვენგან ნაძარცვი ფულით დაქირავებული ლობისტების მეშვეობით ქვეყნის შიგნით არსებული არნახული ძალადობა და კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათელვა გარეთ დემოკრატიად გაე-

>>>>>>>>> 4

# თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს მე დავბრუნდები აქტიურ პოლიტიკაში!

## პრემიერ-მინისტრის ღია წერილი საზოგადოებას

3 «««««

საღებინა.

ამ მოჯადოებულ წრეზე ტრიალი უნდა დამთავრდეს. აღარასოდეს ასე აღარავინ არ უნდა ავირჩიოთ. ამისათვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი ტემპებით მშენებლობა და ხელისუფლება მოვაქციოთ მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ. ამ გზით ჩვენ არა მარტო დღევანდელი ხელისუფლების ეფექტიანობას შევუწყობთ ხელს, არამედ მომავალი ხელისუფლების თვისებრივად მაღალ ხარისხსაც უზრუნველვყოფთ.

***მე არაფერს ვერჩი პირადად მიხეილ სააკაშვილს ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსს. ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისათვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი,–აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე. ამიტომ მე უნდა წავიდე სწორედ ახლა, საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც აშფოთებს ჩემი პოლიტიკიდან წასვლა, ბევრია ისეთი, ვინც სწორედაც რომ არ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საერთო პროცესებზე,–ასეთებს ურჩევნიათ იყვნენ პასიურად მშვიდად და ყველაფრისთვის პასუხი აგოს სხვამ.***

***სწორედ ამიტომ, ჩემი დარჩენა მთავრობის მეთაურად (მე, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მაქვს საზოგადოების გადაჭარბებული ნდობა) არათუ სასარგებლო, არამედ საზიანო იქნება მომავლისთვის, რადგან კი არ დაჩქარდება, არამედ შენელდება და მინავლდება ის, რისი საჭიროებაც იგრძნო საზოგადოებამ ბოლო 22 წლის განმავლობაში მოჯადოებულ წრეზე ტრიალით,–ეს არის საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება.***

სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი დიდი ხანია არსებობს საქართველოში, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი დონის ევროპულთან მიახლოება. ევროპაში არისტოკრატიული ელიტის საგანმანათლებლო და კულტურული როლი და ფუნქცია იკისრა „დემოკრატიულმა ელიტამ“ (სამოქალაქო საზოგადოებამ), რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით, ჯერ ერთი, აღარ არის საჯარო ხელისუფლებით აღჭურვილი, და მეორე, აღარ არის ჩაკეტილი რომელიმე სოციალური თუ ინტერესჯგუფისათვის. საქართველოში ეს პროცესი კომუნიზმის ბატონობამ მთელი 70 წლით გაწყვიტა, რამაც დაგვაკარგვინა ჩვენი საკუთარი ტრადიციები და მოგვწყვიტა ევროპულ ინტელექტუალურ და ღირებულებით საზრდოსაც. მაგალითისთვის, შევადაროთ 1913 წლის თუნდაც კოლონიური საქართველოსა და 2013 წლის უკვე თავისუფალი საქართველოს საზოგადოებები,–საუკუნისწინანდელ არასამთავრობო და საექსპერტო (დღევანდელი გაგებით) წრეებში საზოგადოების ევროპული ყაიდის ღირებულებითი სტანდარტები უკეთ იქმნებოდა, ვიდრე დღეს. მაშინდელი ქართული პრესის მესვეურები დღევანდელი ჟურნალისტებისგან რამდენიმეს თუ აიყვანდნენ სამსახურში პროფესიონალიზმისა და სიცრუის არკადრების გამო. მაშინდელი სიტყვა დღევანდელზე მეტად ფასობდა, მაშინ არჩევნების გაყალბების სისტემაში მოსახლეობის ნახევრის ჩაბმის შესაძლებლობას უფრო ძნელად დაიჯერებდა ქართველი კაცი, ვიდრე ადამიანის მთვარეზე გაფრენას. დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საექსპერტო წრეებსა და მედიაში მრავალი მოქალაქეა დაკავებული, რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებითა თუ საუბრებით სერიოზულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრისა და პოზიციების ფორმირებაზე. მაგრამ ხშირად იგრძნობა კვალიფიკაციის ან სინდისის ნაკლებობა, რაც იწვევს ფუნდამენტურ საკითხებში არათანამიმდევრულობას, ზედაპირულობას, კერძოსა და საზოგადოს ერთმანეთში აღრევას. შედეგად, ვერ იქმნება და ვერ ნარჩუნდება სწორი ორიენტირები და სტანდარტები. და მივიღეთ სურათი, როდესაც დიდწილად სამოქალაქო საზოგადოება იტოვებს უფლებას აკრიტიკოს, მიუთითოს (რაც მნიშვნელოვანია), მაგრამ უარს აცხადებს პასუხისმგებლობაზე თავად ჩაერთოს, აღზარდოს და აშენოს. ამიტომ, იმისთვის, რომ ქართული საზოგადოება შედგეს როგორც რაციონალური საზოგადოება, გააზრებულ საკითხებზე მოკამათე და არა ემოციურად ერთმანეთის მაძაგებელი ან მაკრიტიკებელი, აუცილებელია თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს ყველამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ. ყველა ერთად უნდა გამოვიდეთ ლოდინის რეჟიმიდან და აქტიურად ჩავებათ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. ჩემი აზრით, დღეს, როდესაც ხელისუფლება უკვე სტაბილურია, როდესაც ის სწორი მიმართულებით მიდის და ყველა შანსი აქვს წარმატებით გაართვას თავი დასახულ ამოცანებს, ჩვენი მორიგი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა გახლავთ სწორედ ჯანსაღი, საკუთარი ფუნქციის მქონე, საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის განვითარება, ისეთი საზოგადოების ფორმირება, რომელიც არა მხოლოდ აკრიტიკებს, არამედ თავადაც ჩაებმება, აღზრდის და ამით ხელს შეუწყობს ევროპული ყაიდის, დემოკრატიული, მოქალაქეზე ორიენტირებული სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ საზოგადოებას. რომელზეც ***დიდი ილია ოცნებობდა–„ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა იცოდეს. რომ იგი განუყოფელი ნაწილია ერისა და ამიტომ თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“.***

სამოქალაქო საზოგადოებაში ჩემი გადასვლის მიზანია შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ:

- სამოქალაქო საზოგადოების აქტორების–„აზრის ლიდერების“ პროფესიული ზრდა;
- ადამიანური რესურსის, ახალი სახეების შემოყვანა სამოქალაქო სექტორში და მათთვის მოტივაციის გაჩენა; ინოვაციური იდეების აკუმულირება და დანერგვა;
- ხელისუფლების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკას, არამედ მისთვის ჯანსაღი იდეების შეთავაზებას ქვეყნისა თუ ხელისუფლების ნებისმიერი შტოს განსავითარებლად. ამ გზით ჩვენ ხელისუფლების კონტროლის ყველაზე ეფექტიან მექანიზმსაც ვქმნით და საზოგადოებასაც ხელში ვაძლევთ ბერკეტს–იტვირთოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

ამასთან, მე ვაპირებ ბევრი ვიმუშაო ახალგაზრდობასთან იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს მათი აქტიურობა და ჩართულობა, და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. თანაც, ახალი აქტორების წარმოჩენით გაიზრდება კონკურენცია, გზა გაეხსნებათ ახალ სახეებს და არავის ექნება სამუდამოდ გარანტირებული ადგილი. ამავე დროს, როდესაც ჩვენ მუდმივ საკადრო შიმშილს განვიცდით, ეს იქნება ნოყიერი საკადრო რესურსი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორისთვის.

საბოლოოდ, იმედი მაქვს, რომ დავაჩქარებთ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის გაზრდას, რაც თავისთავად განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარების გარანტიებს და ევროპულ სტანდარტებს მიგვაახლოებს.

***ახლა, დამატებით მათთვის, ვისთვისაც ჩემი განმარტებები საკმარისი არ არის:***

როცა ერთმანეთს ვენდეთ და ერთმანეთის გვერდში დავდექით. ჩვენ შეუძლებელი შევძელით –პირველად ახალი საქართველოს ისტორიაში არა მარტო მშვიდობიანად და კონსტიტუციურად შევცვალეთ ხელისუფლება, არამედ განსაკუთრებული რყევებისა და შეცდომების გარეშე, საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე, სტაბილურობისა და წინსვლისკენ ვატარეთ ქვეყანა და ეს არცთუ ადვილად დასაძლევი ამოცანა იყო. ჩვენი გამარჯვება ერთადერთ რამეს ეფუძნებოდა– ჩვენს ურთიერთნდობას და ეს გამოცდილება მკარნახობს, ამჯერადაც გთხოვოთ, ნდობით მოეკიდოთ ჩემს გადაწყვეტილებას და დამიდგეთ გვერდში. გარწმუნებთ, მომავლის გადმოსახედიდან ეს საქართველოს საზოგადოების განვითარებისთვის წინგადადგმული და წარმატებული ნაბიჯი იქნება. ის, რაც ჩვენ უკვე შევძელით, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის საფუძველი ნამდვილად არის. მე ზუსტად ვიცი, რისი გაკეთება მინდა და რას მოუტანს ეს საზოგადოებას. გავკადნიერდები და შეგახსენებთ–პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი.

***პირველი, მოდით, გულწრფელი ვიყოთ: განა ბევრს სჯეროდა, რომ სააკაშვილს არჩევნების გზით, უსისხლოდ დავათმობინებდით ხელისუფლებას. ყველას გვახსოვს სააკაშვილის წინამორბედი ხელისუფლებები–გაცილებით სუსტი სახელმწიფო აპარატით, ნაკლებად ორგანიზებული და ცენტრალიზებული სამართალდამცავი სტრუქტურებით, და შემდეგ სააკაშვილი,–ავტორიტარული მართვის სტილით, არაერთგზის გაყალბებული არჩევნებით, 7 ნოემბრით, „იმედის“ დარბევით თუ 26 მაისით...***

შესაბამისად, თუ გავიხსენებთ, როგორ მოახერხა ჩვენმა საზოგადოებამ პირველი ორი მთავრობის შეცვლა, პრაქტიკულად შანსი არ რჩებოდა მშვიდობიანად გაგვესტუმრებინა სააკაშვილის ხელისუფლება. ჩვენ, ფაქტობრივად, შეუძლებელი შევძელით. უცნაურია, მაგრამ არავის დაუსვამს კითხვა, როგორ მოვახერხეთ ეს. არავის უცდია იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელთა წყალობითაც დამოუკიდებელმა საქართველომ თავის ისტორიაში პირველად შეძლო არჩევნებით, კონსტიტუციური გზით ახალი ხელისუფლების მოყვანა. როგორც მოგვიანებით ამ კითხვაზე პასუხს აუცილებლად გავცემ, ერთი კი ცხადია,–ჩვენ ვაჯობეთ შიშს, ტერორზე დამყარებულ უზარმაზარ სახელმწიფო მანქანას, არჩევნების შედეგების გაყალბებისთვის მომართულ მთელ საარჩევნო აპარატს. მე მინდა, ხელისუფლებამ ისწავლოს, იყოს პირნათელი კანონთანაც, საკუთარ ხალხთანაც და პარტნიორებთანაც. ჩვენ ეს მოვახერხეთ ყველაზე რთულ, კოჰაბიტაციის პროცესში –შევინარჩუნეთ ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერაც და ამავდროულად გავაღრმავეთ ურთიერთობები ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთანაც. დამერწმუნეთ, ეს იოლი არ იყო. ვითარება ჩვენგან თითქმის შეუთავსებლის შეთავსებას ითხოვდა: ერთი მხრივ, იყო ჩვენი საზოგადოების უპირობო და სრულიად სამართლიანი მოთხოვნა–წინა ხელისუფლებას პასუხი ეგო 9 წლის განმავლობაში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი, მართლაც გაუგონარი დანაშაულებებისათვის; მეორე მხრივ კი–ჩვენი დასავლელი პარტნიორების გამახვილებული მზერა და არაერთგზის გამოთქმული სურვილი, თავი აგვერიდებინა წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მასობრივი დევნისათვის და სამართლის აღსრულების პროცესში არ გადაგვეხვია კანონის მოთხოვნებიდან. ანუ არ შევდგომოდით იგივე გზას, რითაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო,–როცა „ნაციონალები“ დაკავებების დროს სრულიად უგულებელყოფდნენ კანონის მოთხოვნებს. შემდეგ კი უკანონობის მსხვერპლი მთელი საზოგადოება გახდა. ვფიქრობ, ჩვენ მოვძებნეთ ოქროს შუალედი და ამით ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურისთვის უპრეცედენტო რამ შევძელით–სამართალს აღვასრულებთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და გარწმუნებთ, ამ სიკეთით საზოგადოება კიდევ დიდხანს ისარგებლებს.

***მეორე. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. მგონი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. 2011 წლის 4 ოქტომბერს პოლიტიკაში შემოსვლით პირდაპირი მნიშვნელობით თავი გავწირე და გავწირე ჩემი ოჯახიც. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს აზრად მოუვიდეს. რომ ჩემს სამშობლოს ახლა შევაქცევ ზურგს, ასეთ საინტერესო დროს, როცა აღმშენებლობა იწყება და არ გავაკეთებ მაქსიმუმს ჩემი ქვეყნისათვის!***

დაბოლოს, ყველაზე დიდი სკეპტიკოსებისთვის:

**მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას.**

ვფიქრობ, ამ წერილის შემდეგ აღარ უნდა დარჩეს კითხვები პოლიტიკიდან ჩემი წასვლის მიზეზებისა თუ მიზნების შესახებ, რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებით ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მე წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩვენ არჩეულ კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, როდესაც ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად იმუშავებს და როდესაც დავრწმუნდები, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება“.

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
# №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია
# განკარგულება №04/2013

## საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ

*ქ. ხობი* *2013 წლის 10 სექტემბერი*

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის №168/2013 განკარგულების საფუძველზე №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის არჩეულიქნენ №66 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*კომისიის თავმჯდომარე:* *მინდია ლომაია*

*მდივანი:* *სოფიო პერტია*

---

## დანართი

## №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 10 სექტემბრის №04/2013 განკარგულებისა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ

**№1 ქ.ხობის საარჩევნო უბანი**
1. ვეკუა გურამი
2. კილასონია მაყვალა
3. ხახუბია ეკა
4. ფარცვანია ბესარიონ
5. ჯობავა ვილენი
6. პერტია თამარი

**№2 ქ.ხობის საარჩევნო უბანი**
1. თათარიშვილი მანანა
2. თირქია ვლადიმერი
3. იოსავა მარინე
4. ნანეიშვილი ზურაბი
5. ყურაშვილი ეკა
6. ჯობავა კარლო

**№3 ქ.ხობის საარჩევნო უბანი**
1. ქურსუა ირმა
2. ქადარია ნანა
3. ხარებავა ტარიელი
4. თუთბერიძე ირინა
5. ქირია ბესიკი
6. ბერაია ნიკოლოზი

**№4 ახალი ხიბულის საარჩევნო უბანი**
1. ჯაბურია მაია
2. საბეკია სოფიო
3. სოსელია კობა
4. ბერაია ნონა
5. გოგინავა ლია
6. ქაჯაია მაია

**№5 ახალსოფლის საარჩევნო უბანი**
1. რიჟამაძე ქეთევანი
2. უბილავა რუსუდანი
3. მაჭარაშვილი კახა
4. ნადარაია ნონა
5. ადანაია ჰამლეტი
6. ნაცვლიშვილი კუკური

**№6 ბიის საარჩევნო უბანი**
1. იოსავა ელიზა
2. იოსავა მურადი
3. შონია მიხეილი
4. გირგვლიანი მზია
5. თოდუა მერაბი
6. ჭითაშვილი ინგა

**№7 პირველი მაისის საარჩევნო უბანი**
1. კვირტია თინათინი
2. ხუხია ნინელი
3. კვიკვინია მამუკა
4. ქანდარია შორენა
5. ბუკია ლიკა
6. ალანია თეა

**№8 გურიფულის საარჩევნო უბანი**
1. კულუა ლალი
2. ხვითარია ზურაბი
3. ძიძავა გალაქტიონი
4. ჯაბურია დემური
5. ყორშია რუსუდანი
6. კაკულია ია

**№9 ზემო ქვალონის საარჩევნო უბანი**
1. ფაჩულია როინი
2. კილასონია თეა
3. ალანია ინგა
4. აბაკელია დიანა
5. თურქია ელგუჯა
6. დოლბაძე მანანა

**№10 თორსა-დღვაბის საარჩევნო უბანი**
1. დვალიძე ლალი
2. ანთია აზა
3. ხარჩილავა ლია
4. ლემონჯარია მზია
5. კაცია ალბინა
6. გვაჯაია ვანელა

**№11 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი**
1. ხასაია ინგა
2. აბრამია ლევანი
3. ბასილაია ეკა
4. ალანია ნანა
5. ჩიტაია ანნა
6. ცქირია მაია

**№12 პატარა ფოთის საარჩევნო უბანი**
1. ნანავა პეტრე
2. ნანავა დედისიმედი
3. თარხნიშვილი იზა
4. წულაია ირაკლი
5. ბასილაია ნინო
6. სარალიძე გიორგი

**№13 პირველი ხორგის საარჩევნო უბანი**
1. ჭაჭია ლალი
2. კორტავა რომანოზი
3. კორტავა ნანა
4. მაშავა მარინე
5. სორდია ირინა
6. სალაყაია ნანი

**№14 საგვიჩიოს საარჩევნო უბანი**
1. გელაშვილი გია
2.შუბითიძე ელდარი
3. გოგოლაძე თეონა
4. გულიაშვილი ლეილა
5. სულამანიძე ზვიადი
6. გოგატიშვილი მამუკა

**№15 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**
1. ჯახია მალხაზი
2. კაკაშვილი ქეთო
3. ქაჯაია ლია
4. ტყებუჩავა თენგიზი
5. შონია მარინე
6. ხუნჯუა ლამარა

**№16 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**
1. ლიპარტია ვარდენი
2. გრიგოლია ვალიკო
3. ქვარცხავა ბელა
4. ჯალაღონია როზა
5. შამათავა ქეთევანი
6. ნადარაია ელგუჯა

**№17 ბაღმა საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**
1. ნანეიშვილი მირანდა
2. ჭანტურია სოსო
3. თოდუა თეა
4. ლემონჯავა ნარგიზა
5. კვარაცხელია მარინე
6. კუჭავა სალომე

**№18 ქარიატის საარჩევნო უბანი**
1. გიგიბერია ნონა
2. ჟველია ესმა
3. გვასალია თამარი
4. ბჟინავა ლეილა
5. ჭიჭინაძე ნინო
6. ძაგანია ნანი

**№19 ქვემო ქვალონის საარჩევნო უბანი**
1. ჩაჩიბაია შორენა
2. კვარაცხელია ზვიადი
3. მეფარიშვილი ბენია
4. ხარბედია მაია
5. ყალიჩავა ლუარა
6. ჯიგანია ნათია

**№20 შუა ქვალონის საარჩევნო უბანი**
1. ჯოლოგუა ვერა
2. ლოლუა თემური
3. ბიგვავა ზვიადი
4. ჯგერენაია კლარა
5. ლოლუა მზია
6. შურღულაია ვახტანგი

**№21 ჭალადიდის საარჩევნო უბანი**
1. სიჭინავა ნათია
2. კირთაძე ზინა
3. დარჯანია ლევანი
4. ბერულავა ირინე
5. ნატრიაშვილი მზია
6. ბუსკაძე რუსუდანი

**№22 ყულევის საარჩევნო უბანი**
1. ნასარაია ფრიდონი
2. ჯახუა ლელა
3. ჩაკაბერია მარინა
4. სიჭინავა მარინე
5. ლატარია ნატალია
6. ჭითანავა მაკა

**№23 შუა ხორგის საარჩევნო უბანი**
1. ჯობავა როლიდა
2. ჯობავა დავითი
3. ნასარაია ალექსანდრა
4. ტაბაღუა გულნარა
5. ბერაია რუსიკო
6. კაკულია გიგა

**№24 ძველი ხიბულის საარჩევნო უბანი**
1. ლაკირბაია მაია
2. ჭაავა თენგიზი
3. ჯიშკარიანი ერიდა
4. შონია დალი
5. ქვარაია ინდირა
6. კონჯარია ლელა

**№25 ხამისქურის საარჩევნო უბანი**
1. ქირია მარინე
2. ქირია თამაზი
3. გუმბერიძე-კუკავა თეა
4. ნიგურიანი ნათია
5. ფარცვანია ჯულიეტა
6. ქირია ვალერი

**№26 ხეთის საარჩევნო უბანი**
1. ქირია ნინელა
2. ბუკია მამუკა
3. ჭითაშვილი მელანო
4. ჭითანავა ბადრი
5. ქარდავა ია
6. დავითაია მაგული

**№27 ხეთის საარჩევნო უბანი**
1. ბუკია ნანა
2. ბუკია რუსუდან
3. ტურავა ზვიადი
4. ლომაია ნანა
5. ტურავა ჯუმბერი
6. ცხვიტავა დარეჯანი

**№28 ქ. ხობის საარჩევნო უბანი**
1. ხარბედია დელონა
2. გუჩუა ომარი
3. ბერაია სულხანი
4. ჩიტაია გიგლა
5. ცხადაია ხათუნა
6. კალანდაძე ლელა

**№29 პირველი მაისის საარჩევნო უბანი**
1. გაბელია ლადო
2. მეუნარგია თამარ
3. ბუკია შორენა
4. ცხადაია ნინო
5. ალექსანდრია ლელა
6. მებონია ირინა

**№30 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი**
1. იოსავა ნუკრი
2. სახეიშვილი როლანდი
3. ბალხამიშვილი ია
4. ალანია ნინო
5. გოგოლი მაყვალა
6. მგალობლიშვილი ნატო

**№31 შავღელეს საარჩევნო უბანი**
1. ჭაღალიძე მაია
2. მურვანიძე ლია
3. ბერიძე მერი
4. მანველიძე ხათუნა
5. მამულაძე რამაზ
6. მამულაძე ევგენი

**№32 ჭალადიდის საარჩევნო უბანი**
1. ღვამიჩავა ირინე
2. გაბისკირია ირაკლი
3. სესქურია მანანა
4. ჯიშკარიანი გულნაზი
5. გიგაშვილი გიორგი
6. ჩიქობავა მერი

*კომისიის თავმჯდომარე:* *მინდია ლომაია*

*მდივანი:* *სოფიო პერტია*

# „ზოგიერთ სკოლაში სწავლა 2 კვირით გადაიდება“

1

*კომპიუტერები ჩვენ ქსელში ჩავრთეთ და მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსად ვაქციეთ. გავაუმჯობესეთ ტექნიკური პარამეტრები, რათა კომპიუტერების გამოყენება შეიძლებოდეს არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე კლასებშიც. წელს ყველა სკოლაში გვაქვს ინტერნეტი.*

*სკოლების ტექნიკურ პერსონალს 1-ლი სექტემბრიდან ხელფასი დაახლოებით 45%-ით ეზრდება. გასულ წელს 330 სკოლას ემსახურებოდა სასკოლო ავტობუსი, წელს 900 სკოლას მოემსახურება. ეს კარგია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვებს ფეხით სიარული არ უწევთ, არამედ იმიტომაც, რომ ავტობუსების დანიშვნის შემდეგ რეგიონებში გაკვეთილებზე დასწრება გაუმჯობესდება. ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის იაშვილის სახელობის კლინიკაში სპეციალური სკოლა მოეწყობა. პედაგოგები ადგილზე ჩაუტარებენ ბავშვებს გაკვეთილებს. ორ სკოლაში შევქმენით ინტეგრირებული კლასები, სადაც სმენა და მხედველობადაქვეითებული ბავშვები თანატოლებთან ერთად ისწავლიან.*

***ითქვა, რომ მოსწავლეებს მეორადი სახელმძღვანელოებიც დაურიგდებათ. წიგნები არასაკმარისი რაოდენობით დაიბეჭდა?***

–მას შემდეგ, რაც სკოლებმა 4-ჯერ მოგვაწოდეს ინფორმაცია საჭირო სახელმძღვანელოების შესახებ, განისაზღვრა ტირაჟი, მაგრამ მოსწავლეები სკოლიდან სკოლაში გადადიან (ბოლო რეგისტრაციის შემდეგ 20 ათასმა მოსწავლემ გამოიცვალა სკოლა). სხვადასხვა სკოლა სხვადასხვა სახელმძღვანელოს იყენებს, შესაბამისად, წინასწარ ვერავინ განსაზღვრავდა, ვინ რომელ სკოლაში გადავიდოდა და რა სახელმძღვანელო დასჭირდებოდა. ამიტომაც საჭიროებისამებრ გამოვიყენებთ მეორად სახელმძღვანელოებს. მთლიანად ამ სახელმძღვანელოების რაოდენობა სკოლებში 0.1%-ს არ აღემატება.

***საკამათო გახდა სახელმძღვანელოების მოხმარების შეფასება ქულებით და დაზიანების გამო დაწესებული სანქციები.***

–მშობელს იმ შემთხვევაში მოუწევს წიგნის ჩანაცვლება, თუ ბავშვმა განგებ დააზიანა სახელმძღვანელო. თუ წიგნი გაცვდა ან მოსწავლემ რაღაც ჩაინიშნა, ეს არ იქნება პრობლემა.

–მას შემდეგ, რაც უარი ითქვა ლოტოტრონზე, სკოლის დირექტორები რა კრიტერიუმებით ირჩევიან?

–სკოლის დირექტორობის მსურველმა უნდა მიიღოს დირექტორობის სერტიფიკატი. სერტიფიცირების პროცესი შედგება ტესტირებისა და სამინისტროში არსებულ კომისიასთან გასაუბრებისაგან. მას შემდეგ, რაც პირი მიიღებს სკოლის დირექტორის სერტიფიკატს, კონკრეტულ სკოლაში დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი უნდა გაიაროს, წარმოადგინოს ამ სკოლის განვითარების გეგმა. თუ გეგმას კომისია მოიწონებს, დირექტორობის კანდიდატს მიავლენენ სკოლის სამეურვეო საბჭოში ასარჩევად. თუ ერთ სკოლაში რამდენიმე კანდიდატია, საბოლოო გადაწყვეტილებას სკოლის სამეურვეო საბჭო მიიღებს.

***მანდატურები უწინდელივით გავლენიანები იქნებიან სკოლაში, როდესაც დირექტორებიც კი ძრწოდნენ მათ წინაშე?***

–მანდატურებს უწინდელი ფუნქცია ჩამოერთვათ და პედაგოგის საქმიანობაში ჩარევის უფლება არა აქვთ. მანდატურის ფუნქცია გახდება ბავშვის უსაფრთხოების დაცვა.

***საინგილოს სოფელ ალიაბადიდან გვაცნობეს, რომ ოთხ სკოლაში იყო ქართული სექტორი და ახლა ერთი დარჩა. თუ გეგმავთ ამ თემაზე აზერბაიჯანელ კოლეგასთან საუბარს?***

–საინგილოში 11 ქართულენოვანი სკოლა გვაქვს, რომელთაც სახელმძღვანელოებით ვამარაგებთ. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციით აუცილებლად დავინტერესდები და შესაბამის ზომებსაც მივიღებ.

***როგორც ვიცი, 16 სექტემბერს ყველა სკოლაში არ დაიწყება სწავლა.***

–600-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში ობიექტური მიზეზების გამო ეს პროცესი ვერ დასრულდა და ამიტომაც იქ მაქსიმუმ 2 კვირით გადაიდება სწავლის დაწყება.

***როდესაც მინისტრის მოადგილეობიდან გაათავისუფლეთ დავით ზურაბიშვილი, პრემიერმა კერკეტი კაკალი გიწოდათ. ასეთი ხასიათი პრობლემას ხომ არ შეგიქმნით მუშაობაში?***

–ასეთი ხასიათი მაქვს და ვერ შევიცვლი. ვფიქრობ, საზოგადოებას უნდა მოსწონდეს პრინციპული ადამიანი, რომელიც ყოველ წუთში არ იცვლის შეხედულებას. აბა, სხვანაირი როგორ უნდა იყოს საჯარო მოხელე?

**იზო რიკაძე,**
**გაზეთი „კვირის პალიტრა“.**

## განათლება



***ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარია ქალბატონი ხათუნა გერგაია, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი. იგი მოკლედ გაგვაცნობს გასული სასწავლო წლის შედეგებს, გვესაუბრება საჯარო სკოლებში მიმდინარე პროცესებზე, ინოვაციებზე, მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე, ცვლილებებზე მასწავლებელთა დაფინანსების ფორმაში.***

–პირველ რიგში, მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლეს, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, იმათ, ვინც პირველად მიუსხდებიან სასწავლო მერხებს, რომლებსაც საჩუქრად დახვდებათ ახალი „ბუკები“, რომ წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის ასამდე აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, მათ შორის არიან 100% გრანტით ჩარიცხულები, სტატისტიკის მიხედვით, ხობელმა აბიტურიენტებმა უპირატესობას მიაღწიეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩაიტვირთება InteLi–ის სასწავლო პროგრამა.

* * *

მასწავლებელთა კლასიფიკაციის ამაღლების კუთხით იგეგმება ტრენინგები, რომლის თემატიკაც ასეთია.

* ქართული ენისა და მათემატიკის დაწყებითი კლასების

# ახალი სასწავლო წელი ახალი ინოვაციებით

სახელმძღვანელო წიგნები და ეს იქნება მათი პირველი გზამკვლევი ცოდნის დიდ გზაზე. ასევე სწავლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს სახელოვან პედაგოგებს, მათ, ვინც დაუღალავი შრომით იღწვის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში, ვინც მონაწილე იყო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, ვინც კიდევ აგრძელებს ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების განხორციელებას.

ყოველი ახალი სასწავლო წელი გამორჩეულია, იგი მუდამ სიახლეებით არის სავსე. წლევანდელი სასწავლო წელიც მრავალ ინოვაციას ითვალისწინებს, მაგრამ სანამ გადავიდოდე მიმდინარე სასწავლო წლის გამოწვევებზე, მინდა შევეხო გასული სასწავლო წლის შედეგებს. პირველ რიგში აღვნიშნავ იმას, რომ შარშან მუნიციპალიტეტის სკოლების 26-მა კურსდამთავრებულმა ოქროსა და ვერცხლის მედლებზე დაამთავრეს სკოლა. მინდა იცნობდეთ ამ ახალგაზრდებსა და მათ სკოლებს:

მაია კვიკვინია, დიანა დუდუნია–ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა;

თამარ ადამია–ბიის საჯარო სკოლა;

სალომე მშვილდაძე, ანა ლომაია, გიორგი ქორიძე–ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა;

ნინო კაკაბაძე, თათია ქარდავა–ხეთის საჯარო სკოლა;

თეა აბშილავა–თორსის საჯარო სკოლა;

თამარ რიჟამაძე–შუა ხორგის საჯარო სკოლა;

გიორგი კუკავა, ნიკოლოზ სურმავა, თეო ჯალაღონია, მარიამ სიგუა, ცირა გერგაია, ქრისტინე გადელია–ქ. ხობის №2 საჯარო სკოლა;

ემილი ლაგვილავა, თამარ კვეკვესკირი, ლევან საბახტარაშვილი, ლიკა ბებურია, ეკატერინე ლომაია, მარიამ ყურუა, გიორგი ფოცხორაია, ნუკრი ფილიპია, ირაკლი ჭანტურია, დავით კვარაცხელია –შ.პ.ს „არეა“;

უნდა აღვნიშნო ის ფაქტი,

* * *

რაც შეეხება სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 8 საჯარო სკოლაში. ესენია: ქ. ხობის №1, ზემო ქვალონის, პატარა ფოთის, საჯიჯაოს №2, ნოჯიხევის №2, ბიის, ხეთის, პირველი მაისის საჯარო სკოლები. ასევე განხორციელდა სკოლის გაზიფიცირება ქ. ხობის №1 და №2 საჯარო სკოლებში.

შესაძლოა, ქალაქ ხობის №1 და პატარა ფოთის საჯარო სკოლებში ერთი კვირით გადაიდოს სასწავლო პროცესი, რადგანაც ვერ ესწრება სკოლის შენობების გადახურვითი სამუშაოები.

* * *

ოპტიმიზებული სკოლების შესახებ მინდა გითხრათ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელთა წარმომადგენლებიც შეხვდნენ ასეთი სკოლის წარმომადგენლებს და სოფლის მოსახლეობას პირველ ხორგაში. მიმდინარეობს ამ თემაზე მუშაობა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს აღნიშნული სამინისტრო.

* * *

მიმდინარე სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების XII კლასში გვყავს დაახლოებით ოთხასამდე ბავშვი. პირველ კლასის მოსწავლედ დარეგისტრირდა 276 ბავშვი.

* * *

რაც შეეხება სიახლეებს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით, აღვნიშნავ იმას, რომ წელს მეთორმეტე კლასის მოსწავლეები, ოქტომბრის პირველ ნახევარში ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს 4 საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია), სავარაუდოდ 5-დან 12 ოქტომბრის ჩათვლით. დანარჩენ 4 საგანს კი აბარებენ 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს.

საქართველოს ყველა რეგიონში ბუკების დარიგება დასრულდება მიმდინარე კვირის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით მინდა გაცნობოთ, რომ ოქტომბრის თვეში დამატებით მასწავლებლებისათვის.

* განმავითარებელი და დიაგნოსტიკური შეფასების ტესტირების ჩატარება.

* „საქართველში 100% თამბაქოსაგან თავისუფალი პოლიტიკის გატარება სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში“–პროგრამის ფარგლებში იგეგმება ტრენინგები, იგი განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლთა მონაწილეობით.

* * *

პედაგოგებისათვის ჩატარდება კონკურსი „Microsoft“-ის ინოვაციური მასწავლებელი–ექსპერტი. შერჩეული მონაწილე გაემგზავრება „Microsof Portner in Learning CLobal Forum“-ზე ბარსელონაში, სადაც შეხვდება „Microsoft“-ის ინოვაციურ მასწავლებელ-ექსპერტებს მთელი მსოფლიოდან.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 11 წარჩინებული მოსწავლის პორტატული კომპიუტერებით დაჯილდოება.

* * *

წელს იცვლება სკოლებში დაფინანსების ფორმა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყველა სერთიფიცირებული პედაგოგი მიიღებს სერთიფიცირების დანამატს მისი საათობრივი დატვირთვის შესაბამისად.

„1000 ლარიანი“ მასწავლებელი 1000 ლარამდე დანამატს შეავსებს იმ შემთხვევაში თუ მისი საათობრივი დატვირთვა შეადგენს 18 საათს და მეტს.

გამონაკლისი იქნება ის შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ საგანში არ არსებობს სრული დატვირთვა.

მთლიანად სკოლის დაფინანსების სისტემაზე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

და ბოლოს, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების 50 მასწავლებელი გახდა სერთიფიცირებული.

ვუსურვებ მათ შემდგომ წარმატებებს!

***ესაუბრა მანანა შულაია.***

# ახალი სასწავლო წელი წარმატებული იქნება

პირველი მაისის თემის ესტატე შუშანიას სახელობის საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება.

მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად, ჩვენი სკოლის ოთხი პედაგოგი მიიღებს მასწავლებელთა სერთიფიკატს. ესენი არიან: შორენა ბუკია (ისტორია), ნინო ცხადაია, ბელა ლაგვილავა (ქართული ენა და ლიტერატურა), კობა კვიკვინია (მათემატიკა).

ამჟამად სკოლას ჰყავს შვიდი სერთიფიცირებული პედაგოგი: ლალი ფეტელავა, ბელა ლაგვილავა, ნინო ცხადაია. (ორ სასწავლო დისციპლინაში არიან სერთიფიცირებულნი) ნინელი ხუხია, ნინო კვიკვინია, შორენა ბუკია, კობა კვიკვინია. კიდევ ოთხ პედაგოგს დაძლეული აქვს სასერთიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგები–ბელა ლაგვილავა და ლალი ფეტელავა უცხო ენისა და კომპიუტერების ინტეგრირებული გამოცდის ჩაბარებისთვის უკვე მეორე წელია ხელფასზე 200 ლარიან დანამატს ღებულობენ.

ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად ჩვენი სკოლის ოთხი კურსდამთავრებული ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის თამარ გაბისონიამ 50-პროცენტიანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვა. თამართან ერთად სტუდენტობის პატივი წილად ხვდათ: სოფიკო არაჰამიას, სალომე კურდღელიას და ნათია გაბრავას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს ვულოცავ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას!

ცხელი ზაფხულის საგამოცდო ციებ-ცხელება ამით არ ამოწურულა. დღის წესრიგში სკოლის დირექტორთა სერთიფიცირების საკითხია და რაოდენ სასიხარულოა, რომ სერთიფიცირების პირველი ეტაპი–ტესტირება წარმატებით დაძლია ხობის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორთა უმრავლესობამ, მათ შორის ჩვენი სკოლის დირექტორმაც.

მნიშვნელოვანი სიახლეები გვაქვს სხვა მხრივაც, სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. სასწავლო წლის დაწყებამდე კაპიტალურად შეკეთდება სამი საკლასო ოთახისა და სპორტული დარბაზის იატაკი.

მოსწავლეთათვის განსაკუთრებულად სასიხარულო უნდა იყოს სპორტული დარბაზის ამოქმედება, ვინაიდან წლების მანძილზე შეუძლებელი იყო სპორტის გაკვეთილების სრულყოფილად ჩატარება.

ახალ სასწავლო წელს საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული საჩუქარი გაუკეთა მოსწავლეებს–სასკოლო წიგნებით უფასოდ სარგებლობის უფლება აქვს საჯარო სკოლების ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა. აგრეთვე ყველა პირველკლასელი მიიღებს ნოუთბუქს. სოციალური თვალსაზრისით ეს დიდი შვებაა თითოეული ქართული ოჯახისათვის!

„ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“–პროგრამით, ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, დაგეგმილია ამერიკელი მასწავლებლის ჩვენს სკოლაში მოვლინება.

იმედი მაქვს, რომ ახალი სასწავლო წელი უფრო წარმატებული იქნება ჩვენი სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგიური კოლექტივებისათვის!

გილოცავთ ყველას ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

***კობა კვიკვინია,***
***ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი.***

## მინიატურები

* სწვლის დაწყება სიხარულის სასახლის კარის გაღების დღეა!

* სწავლას ფეხის ადგმიდანვე იწყებს ადამიანი და როცა კვდება მაშინ ამთავრებს!

* ხალხის ბრძნული გამონათქვამი, ყველა გულში ჩასადებია, მაგრამ სხვა დანარჩენებს მაინც ერთი ნათქვამი ჯობია, უსწავლელი ქვაზე დაჯდა და... ქვას ქვა დაემატაო!"

* ქართველი ერის მამა უწოდა ხალხმა დიდ სულხან-საბა ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს, რადგან ისინი ისეთი ნასწავლები, ბრძენები იყვნენ.

* პოეტის იოსებ ნონეშვილის ბრძნული ნათქვამია „მიყვარდა კითხვა, მე ყველაფერს წიგნი მერჩივნა, მიყვარდა წიგნი და ამ წიგნმა გადამარჩინა".

*კოლმირა აბურჯანია.*

## გილოცავთ!



ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის საყვარელო მოსწავლეებო, პატივცემულო მშობლებო, ძვირფასო მასწავლებლებო, გილოცავთ ახალი 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებას!

გისურვებთ წარმატებებს, მეცნიერების მწვერვალების დალაშქვრის დიდ საქმეში.

მეამაყება, რომ მეც პირველსკოლელი ვარ!

*შორენა სიხარულია,*
*გერმანია, იენის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტი.*

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ახალი სასწავლო წლიდან სახელმწიფო საბავშვო ბაღები უფასო გახდა.**

**კარსმომდგარი სასწავლო წლის კარიბჭესთან შევხვდით და ვესაუბრეთ ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიენების“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ელისო კვიკვინიას და ვთხოვეთ მოეთხრო გაერთიანებასა და მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში რა სიახლეები და პრობლემებია.**

**აქვე, წინასწარ მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ქალბატონ ელისოს მიმართ ამომწურავი, მინდობილი საქმისადმი ღრმა ცოდნით გაჯერებული პასუხისათვის, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ.**

2013-2014 სასწავლო წლიდან სახელმწიფო საბავშვო ბაღები უფასო გახდა. ყველა ბავშვს, კანონის შესაბამისად, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა, საშუალება ეძლევა თანაბარ პირობებში აღიზარდონ, ხოლო რისკი იმისა, რომ ბავშვთა გარკვეული ნაწილი გადასახადის გამო ვერ მივა საბავშვო ბაღში, არ არსებობს.

# ამიერიდან ბაღები უფასო იქნება!

მიმაჩნია, რომ ამით უდიდესი, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, რადგანაც სკოლამდელი განათლების მომსახურება უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაში.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გადასახადის გაუქმებამ ბაღში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა გაზარდა. საბავშვო ბაღებში კონტიგენტის მიღება ანუ რეგისტრაცია მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება. მიმდინარეობს სიების შევსება, ასაკის გათვალისწინებით ჯგუფების დაკომპლექტება.

გაერთიანების წესდების თანახმად, ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად კომპლექტდება: ბაგის ჯგუფი 2-დან 3 წლამდე, ხოლო ბაღის ჯგუფი და შერეული ჯგუფი 3-დან 6 წლამდე. იმ ბავშვებს, რომლებიც დადიოდნენ საბავშვო ბაღებში და იხდიდნენ გადასახადს, ჩარიცხვასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნიათ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებს შვილების სასურველ სკოლამდელ დაწესებულებაში ჩარიცხვის სრული უფლება ჰქონდათ. ახალი კონტიგენტიდან პირველ რიგში სკოლის ასაკის 5-დან 6 წლამდე, ასაკის ბავშვები ჩაირიცხნენ შესაბამის ჯგუფებში. ამ ეტაპზე საბავშვო ბაღების უმრავლესობა სრულად არის შევსებული. გადატვირთულია ქალაქის №1 და №2 საბავშვო ბაგა–ბაღი. თითოეულ ჯგუფში 30-33 აღსაზრდელია. რამდენიმე ბაღში გვაქვს თავისუფალი ადგილი.

პრობლემა შეგვექმნა ქარიატისა და ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღებში. 3 წლამდე ასაკის რამდენიმე ბავშვი გვრჩება ბაღის გარეშე. ვეძებთ საშუალებებს პრობლემის მოსაგვარებლად.

არის ზღვარი, რის ზემოთ საშიშია ბავშვის მიღება; არის სტანდარტი, რომლის დაცვა გვევალება და ვერც დავარღვევთ. მინდა მშობლებმა იცოდნენ, რომ რეგისტრაციის პროცესი არ სრულდება და უწყვეტი იქნება. თუ ახლა ვერ დარეგისტრირდებიან, შესაძლებელია ამის საშუალება მომდევნო თვეებში მიეცეთ. თუ უკვე დარეგისტრირებული ბავშვი, საბავშვო ბაღში 15 დღის განმავლობაში არ ივლის და შესაბამის ჯანმრთელობის ცნობას მშობელი ვერ წარმოადგენს, ბავშვი ბაღიდან გაირიცხება და შესაბამისად ჩნდება ვაკანსია.

ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების 29 საბავშვო ბაღს შეუძლია მიიღოს და მოემსახუროს 1014 აღსაზრდელს. საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყველა პირობაა შექმნილი და სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესი 16 სექტემბერს დაიწყება. კვება ყველა საბავშვო ბაღში იქნება ერთნაირი და სამჯერადი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლისათვის განხორციელდა შვიდი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია. კერძოდ: გალმა ხორგის, ბიის, პირველი გურიფულის, ნოჯიხევის №2 ბაღების შენობის რემონტი, ძველი ხიბულის საბავშვო ბაღში გამოიცვალა სამზარეულოს იატაკი, ხამისქურის ბაღის შენობის ტერიტორია მოეწყო, ასევე გათვალისწინებულიქნა ქარიატის ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. სოფელ შავღელეში აშენდება ახალი საბავშვო ბაღი. ქალაქ ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღებში იგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ქალაქის სამივე ბაღი გაზიფიცირებულია; ხუთი საბავშვო ბაღისთვის შესყიდულია 4374 ლარის ღირებულების ექვსი ცალი გაზის ღუმელი; ხუთი ბაღისთვის 4 249 ლარის ღირებულების ორკამერიანი მაცივრები; ყველა ბაღში შეტანილია ახალი ჯამ–ჭურჭელი, საერთო ღირებულებით 3294,48 ლარი.

ხეთის №1და წინაგოლის საბავშვო ბაღებში უახლოეს დღეებში დამონტაჟდება დენის მრიცხველი, ნოჯიხევის №2, შუა ხორგის, გალმა ხორგისა და ხობის №3 ბაღებში კი წყლის მრიცხველი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით, აღმზრდელ-მასწავლებლებს ადგილობრივი რესურსით ჩაუტარდათ ორდღიანი ტრენინგი თემაზე ,,სასწავლო პროცესის დაგეგმარება და შეფასება“. შემუშავდა და გაერთიანებას დასამტკიცებლად წარედგინა საბავშვო ბაღების წლის სამუშაო–სამოქმედო გეგმა,სადაც გათვლილია სხვადასხვა სახის შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებები.

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები განსაზღვრავს განვითარების ორიენტირებს ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი განათლების მთელი სისტემისათვის, ინდიკატორებს და მითითებებს აღმზრდელთათვის ხუთ ძირითად სფეროში. ესენია: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, სოციალურ ემოციური განვითარება და მეტყველების განვითარება. არსებული მეთოდოლოგიური რესურსი გვაძლევს საშუალებას უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს მომავალი სასწავლო წელი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ახალი სასწავლო წელი ყველა აღსაზრდელს, მშობელს, აღმზრდელ-მასწავლებელს, თანამშრომლებს და ვუსურვო მათ წარმატებები.

## ახალი კადრები

# „გჯეროდეთ, ხელისუფლება ზრუნავს თქვენზე!“



**ნომრის სტუმარია გოგი გოგინავა-ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სოფელ ძველ ხიბულაში.**

**ხიბულა-„ახიბლ“ შესანიშნავი შორეული წარსული... მშრომელი ხალხი, დოვლათიანი, ჩაისა და სიმინდის კუთხე... შემდეგ ყველაფერი ჩაკვდა... კვლავ გამონათებები, მაგრამ ძველხიბულელებისათვის არაფერი მომგებიანი... ახლა კი კვლავ სიახლეები...**

***რას წარმოადგენს დღეს ძველი ხიბულა და რა ფუნქციონირებს თქვენთან. რა გაკეთდა თქვენი მოსვლიდან დღემდე ხალხისთვის?..***

–სოფელი ძველი ხიბულა ძალიან შორეული წარსულიდან არსებობს (XVI საუკუნე) ხალხი ოდითგანვე მშრომელი ყოფილა. ძირითადად მესიმინდეობა და მეცხოველეობა იყო განვითარებული. ძველხიბულელები თავიანთი შრომითა და გარჯით ცხოვრობდნენ. შემდეგ, როგორც ყველგან, აქაც დაიწყო კოლექტივიზაცია.

ხალხი შეუდგა ჩაის კულტურის გაშენებას, მაგრამ ყოველგვარი ცივილიზაციის გარეშე (კუსტარულად). ჩაის პირველმა მოსავალმა ხალხი გაახარა. მოსავლის სიუხვე იყო. გაჩნდა შრომის ხალისი, კოლმეურნეობა მოღონიერდა, ასევე ხალხიც... მე ის პერიოდი მახსოვს, როცა მეურნეებს განსაზღვრული გასამრჯელო ეძლეოდათ. იყო ნაკლოვანებები, კორუფცია, მოსახლეობას ხელს უშლიდა ქრისტიანული წესჩვეულებების გატარებაში, თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდნენ. ხალხი არ იყო თავისუფალი.

დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორც საქართველო, ასევე ძველი ხიბულაც იწყებს აღორძინებას. ვფიქრობთ ჩაის პლანტაციების, რომელიც გაველურებულია, გაკულტურებას, რაც უდაოდ დიდ შემოსავალს მისცემს სოფლის მოსახლეობას. კეთილმოეწყობა საუბნო გზები. მიმდინარეობს წყალგამტარი არხების ამოწმენდა, რომელიც წლების განმავლობაში ამოვსებული იყო და წყალს არ ატარებდა. შეკეთდა ხიდ-ბოგირები.

დღეს ჩვენთან ფუნქციონირებს საშუალო სკოლა თავისი სპორტული დარბაზით, ასევე საბავშვო ბაღი, სასოფლო ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი თავისი მედპერსონალით.

***გულახდილი იყავით. ელოდით, რომ ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდით? ვინ შეცვალეთ და თუ გენდობიან. რას ელიან თქვენგან?***

–გეტყვით, ამ თანამდებობაზე სოფლის რწმუნებულად დანიშვნას არ ველოდი, დროებით 2013 წლის 16 იანვრიდან ვხელმძღვანელობ თემს. ამ თანამდებობაზე თანასოფლელი რომან ბიგვავა შევცვალე, რომელიც სოფელს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. ის კი არ მოუხსნიათ, არამედ გასული წლის 1 ოქტომბრიდან, როცა ხალხმა ნაციონალურ მოძრაობას უნდობლობა გამოუცხადა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ყველგან განხორციელდა ცვლილებები...

ვფიქრობ, ხალხი მენდობა, ვეიმედებით, ჩემგან შესაძლებლის გაკეთებას ელიან. დარწმუნებული ვარ ხალხი გამომყვება, ვეცდები მათთვის მაქსიმალურად დავიხარჯო.

***ბატონო გოგი, ვინ ხართ და საიდან მოდიხართ, ყველაფერი გვიამბეთ თქვენზე?***

–ძველხიბულელი, ერთ-ერთი მშრომელი ოჯახის შვილი ვარ. მამაჩემი–ორდენ გოგინავა წლების მანძილზე სათავეში ედგა ამ სოფელს, იყო სასოფლოსაბჭოსა და ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დედაჩემი ლიანა ყურაშვილი სოფლის საფოსტო განყოფილების გამგე გახლდათ. საშუალო სკოლა ძველ ხიბულაში დავამთავრე. იმავე წელს სამხედროსავალდებულო სამსახურში გამიწვიეს, რომელიც ქ. სმოლენსკში მოვიხადე. ჩავირიცხე ქალაქ კრემენჩუკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტის საღამო დასწრებულზე. პარალელურად, დღისით ვმუშაობდი კრაზის ავტოქარხანაში ზეინკლად. ამით კარგად შევიგრძენი ფიზიკური შრომის ფასი. გავითავისე ის, რომ თუ მეც მოვხვდებოდი თანამდებობაზე მცოდნოდა ვინ არის მუშა და როგორ უნდა დავაფასო იგი.

1999 წლიდან ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით დავბრუნდი სოფელში და ვცხოვრობ ძველხიბულაში მშობლებთან ერთად.

***რა პრიორიტეტებმა განსაზღვრა თქვენი ამ თანამდებობაზე დანიშვნა?***

–ამ კითხვაზე არ მიყვარს კომენტარის გაკეთება იმიტომ, რომ წესად არ მაქვს ჩემი თავის ქება, რადგანაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ალბათ მენდობიან და იციან, რომ იმედებს გავამართლებ.

***დაახასიათეთ თქვენი თავი, და გვიამბეთ, რისი გაკეთება გაქვთ გადაწყვეტილი?***

–უპირველესად, არ მიყვარს ღალატი, უსამართლობა, პიროვნების დაცინვა, ტყუილი. ამპარტავნობა, უპასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილი მაქვს, თანასოფლელებთან ახლოს ვიყო. გულისყურით მოვუსმინო ხალხს და შესაძლებლობის ფარგლებში მათი კეთილდღეობისათვის ვიზრუნო.

***როგორ უნდა შეიცვალოს თანასოფლელთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. რა პირობებით და ვისგან მოელით ამ სიკეთეს?***

–რა თქმა უნდა ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა დადებითად, ხალხის სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. არ კმარა, რაც გაკეთებულია. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა, მეჩაიეობა, რაც ხალხის პირობების გაუმჯობესების გარანტი იქნება. მჯერა, ახალი მთავრობა იზრუნებს ამაზე. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მთავარი ხალხის დასაქმებაა, სასიკეთო ცვლილებების მჯერა და მეიმედება „ქართული ოცნების“.

***როგორი იყო სასოფლო–სამეურნეო ბარათების როლი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. იმედია, რწმენა დაუბრუნდა ხალხს. რამდენი ფართობი მოიხნა და დაითესა. კარგ მოსავალს მოელიან თანასოფლელები. ხალხის აზრი როგორია, კმაყოფილებას გამოთქვამენ?***

–სახელმწიფოს მეთაურთაგან, ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან საზოგადოებამ უნდა იგრძნოს მათდამი ზრუნვა. ეს ყველა დროის ხელმძღვანელის მიზანი უნდა იყოს. დღევანდელი ხელისუფლება ბევრს აკეთებს ხალხისათვის. ამის უშუალო მაგალითია სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში. ხალხს რწმენა დაუბრუნდა. სჯერა, რომ მათზე ზრუნავენ. ჩვენთან უფასოდ მოიხნა და დაითესა 211 ჰექტარი ფართობი. ოჯახებმა უფასოდ მიიღეს სასუქები. საქართველოში გლეხკაცის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ასე ჯერ არავის უფიქრია. თუ ბუნებამაც ხელი შეუწყო მოსავალი იქნება. ხალხი მადლიერია.

***გოგი, დატვირთული დღის რეჟიმი გაქვთ. ხშირად გიწევთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ყოფნა?***

–რა თქმა უნდა, დღის რეჟიმი დატვირთული მაქვს, ხშირად მიწევს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაშიც ყოფნა, მაგრამ ამაზე არ ვწუწუნებ, რადგანაც ვიცი, რომ ამით ხალხის საქმეს ვაკეთებ, მათთან სიახლეებით ვბრუნდები.

***დღეისათვის ყველაზე აქტუალური რა არის თქვენთან?***

–დღეისათვის ყველაზე აქტუალურად მიმაჩნია შიდა გზების კეთილმოწყობა, ჩაის პლანტაციებზე ზრუნვა და ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება.

***რას იტყოდით მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე? სოფელი როგორი განწყობითაა?***

–მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდ იმედებს ვამყარებთ. სოფელში კარგი განწყობა სუფევს, ამომრჩეველი, ვფიქრობ მხარს პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატს დაუჭერს. ეს ვინ იქნება, ხალხის ნებაა.

***რა კეთდება „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში. რა გაკეთდა უკვე. რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი. როგორია ამ საქმეში მშრომელთა ჩართულობა?***

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ძველი ხიბულისთვის გამოყოფილი თანხიდან ამოიწმინდა 1800 მეტრი წყალსაწრეტი არხი. გაკეთდა ახალი ხიდ-ბოგირები, რითაც ხალხი თავისუფლად შედის საყანე ფართობებში. შერემონტდა საბავშვო ბაღის შენობა. ამ ყველაფერში ჩართული იყო როგორც ხობის მუნიციპალიტეტიდან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობაც. ისინი ამჟამადაც მუშაობენ.

***თქვენი და სოფლის პერსპექტიულ მომავალზე რას გვეტყოდით?***

–სოფლის მომავალი თავად ხალხზე და ჩვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. მე, როგორც ძველი ხიბულის რწმუნებული, მწამს სოფლის პერსპექტიული მომავლის.

***სოფელში ელექტროგამრიცხველიანება თუ გაკეთდა, ხალხი რას ამბობს?***

–ჯერჯერობით არ მომხდარა, მაგრამ, ახლო მომავალში გვაქვს იმედი, ამ მხრივ მუშაობა დაიწყება. ხალხის მოლოდინი დიდია.

***რას ეტყოდით თანასოფლელებს?***

–ხალხის ვეტყოდი და დავამშვიდებდი იმით, რომ სჯეროდეთ, ხელისუფლება ზრუნავს მათზე. გააკეთებს იმას, რასაც ხალხს შეჰპირდა. მთავარია მოთმენა და მოლოდინი იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

წარმატებები გქონებოდეთ, ძველხიბულელებო!

ესაუბრა ნანი კიდასონია

–დიდი მადლობა!

**ესაუბრა ნანი კილასონია.**

**როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილულიქნა ა(ა)იპ-ების ექვსი თვის მუშაობის ანგარიშები. გაზეთი „ხობის მოამბე“ პერიოდულად შემოგთავაზებთ მათ მიერ სხდომაზე წარმოდგენილ მასალებს. დღეს ვბეჭდავთ ორ მათგანს.**

## ურთიერთთანამშრომლობით და პოზიციების შეჯერებით



ჩვენს მიერ ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება კულტურის ცენტრისა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების ურთიერთანამშრომლობითა და პოზიციების შეჯერებით ხდება. პირველ რიგში ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ცვლილებების განხორციელებაზე მენეჯმენტის თვალსაზრისით, კერძოდ სპეცსახსრებზე მეტი თანხა ყოფილიყო მობილიზირებული. შედეგი ნამდვილად გვაქვს, ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 9197 ლარი. ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 10181 ლარი.

შეიქმნა ახალი ფასიანი წრეები. კერძოდ გიტარის, სამეჯლისო ცეკვების, ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ კულტურის ცენტრთან შეიქმნა გოგონათა ტრიო. სულ ფუნქციონირებს 19 ფასიანი და 4 უფასო წრე. მიმდინარეობს მუშაობა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის შერჩევა დაკომპლექტებაზე. ანსამბლ „კოლხეთის“ წევრად აყვანილიქნა ორი მომღერალი, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ დიდი ხნის პაუზის შემდეგ მოხდა ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური დასის აღდგენა. მთავარი სპეციალისტის მარინა ჯღარკავას რეჟისორობით დაიდგა რ. მეტრეველის პიესა „ბუ და პატარა ობობა“, რომლის პრემიერამ ორი დღე გასტანა და დიდი მოწონება დაიმსახურა. სექტემბრიდან დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სკოლებში და სოფლის კულტურის დაწესებულებებში, სადაც არის ამის საშუალება, ვუჩვენოთ ეს პიესა.

წარმატებები გააჩნია ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, ხელმძღვანელები: კობა გერგაია, თენგიზ და კახა ჩიტაიები, გოდერძი გახარია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებებში. (თბილისი, ბათუმი, ურეკი, თურქეთის რამოდენიმე ქალაქი). აგვისტოს ბოლოს ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი კობა გერგაია) მიემგზავრება ქ. სტამბულში საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალზე.

ბავშვთა საესტრადო წრის წევრებმა, ხელმძღვანელი ავთანდილ გოგოტიშვილი ქ. ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ანსამბლ „კოლხეთის“ (ხელმძღვანელი ნ. ზარანდია), 3 სიმღერა, ეგრეთწოდებული ხობური ვარიანტი, ჩაწერილიქნა რადიოს ოქროს ფონდში.

ვემზადებით უახლოეს მომავალში რესპუბლიკური ფოლკლორული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჩვენი საუნჯე“ მონაწილეობის მისაღებად.

მაისის თვეში, კულტურის ცენტრთან არსებულმა ყველა წრემ და სტუდიამ ჩაატარა საანგარიშო კონცერტი. აღსანიშნავია საჯიჯაოს, ქვემო ქვალონის და ცენტრალური ბიბლიოთეკის კარგი მუშაობა. ყოველი თვის ბოლოს ტარდება თათბირ-სემინარი, სადაც განიხილება ყველა საჭირბოროტო საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართვის სწორ დაგეგმვას და ღონისძიების ხარისხს.

თითოეულ ღონისძიებაზე რამდენიმე ხნით ადრე დგება სცენარი და ცხადდება ტენდერი წინასწარ დამტკიცებული ხარჯთაღიცხვის მიხედვით.

კულტურის ცენტრის მიერ 6 თვის განმავლობაში გამოწერილიქნა სხვადასხვა სახის ჟურნალ–გაზეთები. რაც შეეხება წიგნადი ფონდის შევსებას, სქტემბრის თვეში გამოცხადდება ტენდერი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკას მიენიჭა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას სახელი. ამ თარიღის საზეიმო აღნიშვნასთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა ღონისძიებაზე და უახლოეს დროში ჩატარდება.

ღონისძიებების ხარჯისთვის 6 თვეში დაგეგმილი იყო 21900 ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 14230 ლარი. კონკრეტულად:

დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაიხარჯა–2800ლარი;

ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე–430 ლარი;

ლიტერატურულ კომპოზიციაზე „მარტოობის რაინდი“ გაიხარჯა–1780 ლარი;

ცხრა მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე–1700 ლარი;

ახალგაზრდა დიზაინერის საგაზაფხული კოლექციის ჩვენებზე–300 ლარი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე–2770 ლარი;

საბავშვო სპექტაკლის „ბუ და პატარა ობობა“ მოწყობაზე–3560 ლარი;

ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე–950 ლარი;

ანიმაციური ფილმების ჩვენება ზე–1000 ლარი;

სპორტული და სამეჯლისო ცეკვების ფესტივალის მოწყობაზე– 1500 ლარი.

ღონისძიების მუხლში ექვსი თვის ეკონომიამ შეადგინა 7670 ლარი.

კულტურის ცენტრი ცდილობს, შინაარსიანად და შედეგიანად წარიმართოს მისი შემდგომი საქმიანობა.

**ბეჟან ნადარაია,**
**კულტურის ცენტრის დირექტორი.**

## მიზანი მომსახურების მაღალი დონეა

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ კომუნალურ მომსახურეობას ანხორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულ ქალაქ ხობში, კერძოდ უზრუნველყოფს ქალაქის გარკვეული ტერიტორიის დასუფთავებასა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას. გარე განათებისა და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკხეივნების მოვლა-პატრონობას.

2013 წლის ექვსი თვის შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს ბიუჯეტი შეადგენდა 325 056 ლარს.

შპს. „ხობი დასუფთავება და განათება“–ში დასაქმებულია 52 მოქალაქე. აქედან აპარატში - 9, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე 43. ტერიტორიის დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასატანად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 42302 ლარი. ძირითადად ხდება ქუჩების და მოედნების დასუფთავება, სულ 55940მ$^{2}$, რომელიც სუფთავდება თვეში 12 ჯერ, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური სასაფლაო, რომლის ფართობი არის 58000მ$^{2}$, ხდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკ - ხეივნების მოვლა-პატრონობა, რომლის ტერიტორია არის 65456მ$^{2}$. დაირგო ჩვენი თანამშრომლების მიერ გამოყვანილი ადგილობრივი ერთწლიანი ყვავილების 30 000 ძირი. განხორციელდა ნარგავების შეთეთრება, გასხვლა და ნაწილობრივი გადაბარვა.

ელექტრო საქონლის შესაძენად გამოყოფილი იყო 30 000 ლარი. ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130007218), რომელშიც გაიმარჯვა შპს. „ჯეოლაით“-მა და გამარჯვებულთან 2013 წლის 12 აპრილს დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება №34 საქონლის ეტაპობრივ მოწოდებაზე. ამ ეტაპზე ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებულია საქონლის ნაწილი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4047.40 ლარი (ოთხიათას ორმოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი).გარე განათების გახარჯულმა ელ-ენერგიის ღირებულებამ შეადგინა 83339 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს. „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დამატებით სუბსიდიის სახით გადასცა 10000 ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადაბერებული ხეების სანიტარული მოჭრისა და გადაბელვითი სამუშაოების შესარულებლად. ამ ეტაპისთვის მოჭრილიქნა 44 და გადაიბელა 9 ხე, რაზეც გაიხარჯა 2900 ლარი.

შპს. „ხობი დასუფთავება და განათება“ მომსახურეობას უწევს ქ. ხობის მოსახლეობას, კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. კერძოდ გააქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენები კვირაში ორჯერ. აგრეთვე შპს. „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას. (სულზე 0.5 ლარი). იურიდიული პირები და წარმოება-დაწესებულებები მოსაკრებელს იხდიან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საიდანაც ამოღებულმა თანხამ შეადგინა 12983 ლარი. აგრეთვე, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ მომსახურეობას უწევს ხელშეკრულების საფუძველზე შავი ზღვის ტერმინალს, რომლის მომსახურეობიდან მიღებული თანხა შეადგენს 5320 ლარს. 2013 წლის ექვს თვეში დასუფთავების მოსაკრებელმა სულ შეადგინა 18303 ლარი.

ამოღებული თანხა გადაირიცხა ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

2013 წლის ექვსი თვის მონაცემებით ჩვენს ბალანსზე რიცხული სპეც. მანქანა ჟირაფისა და ასინიზაციის მანქანების გაქირავებიდან სულ მიღებულია 290 ლარი, რომელიც გადარიცხულია ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. ასევე, მსნ პოლიგონის შესრულებული სამუშაოებიდან მიღებულია 1763 ლარი, რომელიც ასევე გადარიცხულია ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ მიერ 2013 წლის ექვსი თვის მონაცემებით ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე სულ გადაირიცხა 20066 ლარი.



საწვავის შესაძენად ბიუჯეტიდან გაიხარჯა 28251 ლარი, რომელიც შეძენილიქნა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან: შპს „რომპეტროლ საქართველო“, შპს. „ლუკოილ ჯორჯია“-სთან და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთან“.

2013 წელს პოლიგონის მოვლა–პატრონობისათვის, ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 42186 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუფსიდიის სახით მიღებული თანხიდან გეგმის შესაბამისად გაიხარჯა 243661 ლარი.

**გია თათარიშვილი,**
**შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.**

## სახელოვანი წინაპრები



მე ვწერ თქვენზე, ჩვენი სკოლის ღირსებაზე და სიდიადეზე, ჩვენს განძზე, დიდებულ ადამიანებზე, დიახ, თქვენზე, ჩემო მასწავლებლებო!

ვინ იცის, რამდენი დიდებული ადამიანი ჰყავდა ამ ხნის განმავლობაში პირველი მაისის საჯარო სკოლას, სკოლას, რომელიც ასოცი წლისაა. „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული". სამწუხაროა, რომ სკოლიდან წავიდნენ ადამიანები, რომელთა სახელს იცნობდა არა მარტო რაიონი, არამედ საქართველო, მაგრამ იმედი გქონდეთ, ჩემო მასწავლებლებო, რომ თქვენ მაღლიან მოღვაწეობას ყოველთვის დააფასებენ თქვენი აღზრდილები და თანამშრომლები. ჩვენი სკოლა სანთლებად აინთებს თქვენს ხსოვნას, რადგან თქვენ ღრმა კვალი დატოვეთ ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. თქვენ, როგორც მოძღვარი, მობღვრავდით ახალგაზრდებს, კეთილი საქმისათვის იყავით გაჩენილი. სულგრძელობა, პატიების ნიჭი, სიყვარული, პიროვნული თვისებები, პროფესიონალიზმი... ყველაფერი ეს იყო თქვენს ღვთისაგან ბოძებულ გულში. თქვენ იყავით ღმერთისა და ერის მსახური, სულიერად ღირსეული ადამიანები, რომელთაც უსაღვრო სიყვარული გქონდათ აღსაზრდელთა მიმართ. არაფერს ზოგავდით, რომ თქვენი ცოდნა მოსწავლეებისთვის გადაგეცათ. თქვენ დაანთეთ ცოდნის ლამპარი პირველი მაისის სკოლაში და ის არასოდეს არ ჩაქრება.

ჩვენი წინაპარი მასწავლებლების გალერეას წარმოადგენდნენ: ესტატე შუშანია –სკოლის დამაარსებელი და პირველი მასწავლებელი, ვასო ბუკია (დირექტორი), ლუკიან გერგაია (სასწავლო ნაწილის გამგე), თინა შუშანია, ქსენია ლომაია, ნათელა მაკალათია, (ფილოლოგები) კაპიტონ და შურა კვიკვინიები, (გეოგრაფები), იონა ლიპარტია (დირექტორი), ვარლამ პაჭკორია (ისტორიკოსი), ლუბა მეჭვაია, თამარ თოდუა, ნელი ჯობავა, ბაბული სამინავა, მარიამ შუშანია, ვალერიან ფირცხელავა, დომნიკა ესებუა (დაწყებითი კლასების მასწავლებლები) ელეონორა კოდუა, გოგონა კვიკვინია, (ბიოლოგები), კარლო ბუკია (დირექტორი). კოტე ფილიპია (სასწავლო ნაწილის გამგე), მათემატიკოსები აკაკი ესებუა, ვალერიან კვიკვინია (რუსულის მასწავლებელი), ორესტი გაბრავა (სამხედრო სასწავლების მასწავლებელი), ნორა მხეიძე (უცხო ენის მასწავლებელი).

თქვენ იყავით კეთილშობილი ადამიანები და კეთილ საქმეს ემსახურებოდით, თქვენ მობღვრავდით არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ ყველას, ვისაც დამობღვრა სჭირდებოდა. ასეთ ადამიანებს კი ლოცვა-კურთხევით იხსენებენ. დასანანია, რომ სიკვდილს არ უყვარს მსხვერპლის შერჩევა, ერთგვარად მუსრავს მეფეს და მონას.

ასე რომ არ ყოფილიყო თქვენ უკვდავების ღირსი იყავით. ცუდია წუთისოფელი, რადგან ადამიანმა კვლავ რომ ისურვოს სიცოცხლე, უკან ვერ დაიბრუნებს:

„კაცნი კვდებიან დასაბამიდან
და მათ მაგიერ სხვანი მოდიან,
დახე, არავინ მოსულა უკან
ვინც კი ერთხელაც დახუჭა თვალი."

თქვენ ღვთის რჩეულები იყავით, ამიტომ უფალმა აგირჩიათ და წაგიყვანათ ნათელ სულთა საუფლოში, მე მჯერა, რომ ზეციური სასუფევლის კარი გაგეღოთ, ერთად შეყრილნი იქნებით საყვარელი ადამიანები, მეგობრები, ჩვენი სკოლის მასწავლებლები, ალბათ გვიყურებთ ზეციური სამრეკლოდან და გვაფრქვევთ მადლს.

არასდროს დაგვავიწყდებით. იცოდეთ ჩვენი სკოლის პედაგოგები აგრძელებენ იმ ღვთიურ საქმეს, რასაც მასწავლებლობა ჰქვია. თქვენი აღზრდილები და კოლეგები მუდამ გაგიხსენებთ, ტკბილად მოვიგონებთ, ლამაზ ყვავილებს მოგიტანთ, აგინთებთ წმინდა სანთელს, ნაზად მოგეფერებით, თქვენს შესანდობარს ყოველთვის იტყვიან თქვენი აღზრდილი ვაჟკაცები, რადგან თქვენ ეს დაიმსახურეთ.

იცოდეთ, რომ თქვენი სახელი არასდროს დაიკარგება, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი სოფლისა და მერმისა სკოლის ისტორიაში. მარადიულ სიცოცხლეს გისურვებთ. იბინეთ მშვიდად.

# ღვთის მადლით მოსილნი

**ესტატე შუშანია**–წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი.მან თავის სოფელში გახსნა საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელსაც დიდხანს თავისი ხარჯით ინახავდა. უხელფასოდ მუშაობდა. იპოლიტე ვართაგავა წერდა: ,,ახალგაზრდა მასწავლებლის სიმხნევე გამარჯვებით დასრულდა–დაარსდა და ახლაც არსდება სამრევლო სკოლა, მათ შორის ორკლასიანიც, სადაც უსასყიდლო შრომით გლეხ–აზნაურის შვილები სწავლობენ, იძენენ სოფლისთვის გამოსადეგ ცოდნას."

მალე ესტატეს სკოლამ სახელი მოიხვეჭა მთელს სამეგრელოში. სკოლა კარგ შენობაში იყო განთავსებული. მშობლებს თავისი ბავშვებისთვის კოხტა მერხები გაუკეთებიათ. ის სკოლა გახდა პატარა უჯრედი, რომლის გარშემოც თავს იყრიდნენ ქართული კულტურის მომხრე-მოყვარენი. ცოტად თუ ბევრად განვითარებულ მეგრელ ოჯახებს თავიანთი შვილები შეჰყავდათ ესტატეს სკოლაში.

,,ის აუცილებლად კულტურული, გათვითცნობიერებული, დიდად სასარგებლო მუშაკი იყო, ნამდვილი ტიპური სოფლის განმანათლებელ–მასწავლებელი" (ამონარიდები ჟურნალ ,,კვალიდან").

* * *

**ვასო ბუკია**–ყველასთვის საყვარელი ადამიანი, ჰუმანური დირექტორი. ის ბიოლოგიას ასწავლიდა. იყო თავისი საქმის კარგი მცოდნე. დირექტორი, რომელიც ყველა მასწავლებელს თუ მოსწავლეს პატივისცემით ეპყრობოდა, ამიტომ მის სახელს ყველა მოწიწებითა და სიყვარულით იხსენებს. ყოველთვის უღიმოდა სახე. უყვარდა თავისი საქმე. არასდროს არ აჩქარდებოდა, ის იყო წინდახედული, კაცთმოყვარე და ბრძენი ადამიანი. სკოლის ისტორიაში მისი სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი.

* * *

**კარლო ბუკია**–მკაცრი, სამართლიანი დირექტორი, უძლიერესი მათემატიკოსი, ყველას მიმართ მომთხოვნი, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო რაიონში არამედ საქართველოში. მისი მოსწავლეები და კურსდამთავრებულები დღესაც დიდი პატივისცემით იხსენებენ ბატონ კარლოს. კაცური კაცი, კარგი შვილების აღმზრდელი. სკოლის ისტორიაში მისი სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი.

* * *

**გოგონა კვიკვინია**–არაჩვეულებრივი ბიოლოგი, ყველასთვის საყვარელი მასწავლებელი. კარგი მრჩეველი, კეთილი, სასიამოვნო, სკოლისთვის მზრუნველი და თავდადებული. მას ყველას ბედი აინტერესებდა. კეთილი და ჰუმანური იყო. მისი კურსდამთავრებულები, მის სახელს მოწიწებით და სიყვარულით მოიხსენიებენ, რადგან ის იყო არა მარტო მასწავლებელი, არამედ საუკეთესო მეგობარი.

* * *

**ბაბული სამინავა**-დაწყებითი კლასების მასწავლებელი. ძალიან უყვარდათ ბავშვებს, ყველას ეფერებოდა, ასწავლიდა საოჯახო საქმეებს. ის არასდროს არ დაავიწყდება თავის აღზრდილებს, რადგან ის არ იყო მარტო მასწავლებელი, არამედ ბავშვების მეგობარიც. თქვენ, ჩემი პირველი მასწავლებელი იყავით, ბაბული მასწავლებელო და ისე მახსოვს თქვენი გაკვეთილები.

* * *

**ვარლამ პაჭკორია**–უძლიერესი ისტორიკოსი. ყველას უყვარდა ბატონი ვარლამი. მის სახელს დღესაც სიყვარულით ამბობენ. სოფელში მას ყველა დიდ პატივს სცემდა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მშრომელი, ის არამარტო საგანს, შრომას, არამედ ადამიანობას, სიყვარულს და სიკეთის კეთებას ასწავლიდა თავის მოსწავლეებს. ის იყო საუკეთესო დამრიგებელი, დარბაისელი კაცი, რომელსაც ყველა ფეხზე ადგომით ხვდებოდა. მისი სახელი სკოლის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი.

* * *

**კოტე ფილიპია**–უძლიერესი მათემატიკოსი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ორატორი, სასწავლო ნაწილის გამგე, ყველა საგანი ერთნაირად იცოდა ბატონმა კოტემ. საოცარი ადამიანი იყო. მის საუბარს სიამოვნებით უსმენდნენ. ხუმარა, კარგი თამადა, მოლექსე, ხელოვანი მასწავლებელი, კარგი მეგობარი. მისი მოსწავლეები სიყვარულით იხსენებენ კოტე მასწავლებელს. მისი სახელი მარად უკვდავია. შემიძლია ვთქვა, რომ კოტე მასწავლებელი გენიოსი იყო.

* * *

**თინა შუშანია**–ესტატე შუშანიას ქალიშვილი, პროფესორ ეთერ შუშანიას და. უძლიერესი ფილოლოგი, საყვარელი მასწავლებელი, ჰუმანური და სიკეთით სავსე, ღვთიური. ასე აფასებენ თინა შუშანიას მისი მოსწავლეები და არა მარტო მოსწავლეები, არამედ ყველა, ვინც იცნობდა თინა მასწავლებელს.

* * *

**იონა ლიპარტია**–ბატონმა იონამ მამაშვილური დარიგება იცოდა, არავის გულს არ ატკენდა. იშვიათად ბრაზდებოდა. „ადამიანში ყოველთვის კარგი უნდა ნახოო"–იტყოდა ხოლმე. ის იყო კარგი ისტორიკოსი, განათლებული და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ყველასათვის საყვარელი დირექტორი.

* * *

**ნორა კოდუა**–ქალბატონი ნორა კოდუა იყო უძლიერესი ბიოლოგი, ნიჭიერი, მკაცრი, კარგი შვილების აღმზრდელი, იდეალური დედა, დედა, რომელიც შვილებს არაფერს არ აკლებდა, მათ ბედნიერებაზე ზრუნავდა, დამსახურებული პედაგოგი, ორატორი, საყვარელი მასწავლებელი, საოცარი და საინტერესო იყო მისი ყველა გაკვეთილი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო რაიონში, არამედ საქართველოში. მის სახელს სიყვარულით იხსენებენ სკოლის კურსდამთავრებულები და არა მარტო ისინი, არამედ ყველა, ვინც მას იცნობდა.

* * *

**ორესტი გაბრავა**—სამხედროს მასწავლებელი. საუკეთესო დამრიგებელი, მრჩეველი, ჰუმანური, კარგი ორგანიზატორი, მეგობარი, ბავშვების მოსიყვარულე, ყოველთვის ბავშვებთან ტრიალებდა, ყოველგვარ კონფლიქტურ სიტუაციას აგვარებდა. უზომოდ უყვარდა თავისი საქმე. იყო სკოლისთვის თავდადებული ადამიანი.

* * *

**ნორა მხეიძე**–უცხო ენის მასწავლებელი. წყნარი და აუჩქარებელი. არასდროს არავის შეაწუხებდა. არც სხვის საქმეში ჩაერეოდა. იყო მოსიყვარულე დედა და მეუღლე. სანდო მეგობარი. კარგი მასწავლებელი. მის სახელს ყველა სიყვარულითა და სითბოთი მოიხსენიებს.

* * *

მინდა უდიდესი სიყვარული გამოვხატო და განსაკუთრებული პატივით მოვიხსენიო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ვერა ებანოიძე**. ის იყო ხელოვანი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მეთოდისტ-მასწავლებელი, ჭეშმარიტი მოძღვარი, უდიდესი ადამიანი. მართალია, ჩვენს სკოლაში არ მუშაობდა, მაგრამ რამოდენიმე წელი მასთან ვიმუშავე და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში, ის იყო ჩემი საუკეთესო მასწავლებელი, რომლისგანაც მივიღე პრაქტიკა. მასწავლებელი, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდნენ და დღესაც მოწიწებითა და სიყვარულით წარმოთქვამენ მის სახელს. ის ყოველთვის ცდილობდა, თუ რომელიმე მოსწავლე მოუმზადებელი მოვიდოდა, სკოლაში ესწავლებინა მისთვის, რითაც მოსწავლეში მოტივაციას აღვივებდა.

დიდხანს ბედნიერად იცხოვრა თავის შვილებთან და შვილიშვილებთან, მაგრამ წუთია წუთის ქვეყანა, წუთისოფელი განა სიცოცხლის ბოლომდე ვინმეს ახარებს? და ეს ბედნიერებაც თავისი შვილების და შვილიშვილის სიკვდილმა წაართვა, ამ ტკივილის მერე ის ყოველთვის შესჩიოდა წუთისოფელს:

*,,ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი*
*როგორ მქნელია,*
*მას არვინ უნდა მიენდოს*
*ესე ნათქვამი ძველია."*

ბოლოს კი ვერ გაუძლო მისმა გულმა და ტკივილით დამძიმებული წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემო მასწავლებლებო, თვალწინ მიდგას თქვენს მიერ ჩატარებული გაკვეთილები. თქვენ იყავით ღვთის მიერ მოვლენილი მოძღვარნი. თქვენს მიერ წლების წინ გავლებულ ნათელ კვალზე თაობები ამაყად თავაწეული გაივლიან.

თქვენი სახელი მარად უკვდავია! უკვდავია თქვენი სკოლაც.

***ნინელი ხუხია,***
***თქვენი აღზრდილი, ხობის ე. ბ. შუშანიას პირველი მაისის საჯარო სკოლის ფილოლოგი.***

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 დანართის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე და №2 დანართის შესაბამისად სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემაზე.**

**დანართი№1**

| № | დასახელება | მდებარეობა | რაოდენობა | ერთეულის გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | ბიჯი 10% | მონაწილის ბილეთი | შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფუნდამენტის ბლოკი ერთ მეტრიანი 0,5მეტრიანი | ქვ .ქვალონი | 37<br>28 | 16,32<br>8,26 | 1,63<br>0.83 | 1,63<br>0.83 | 20 | 300403377 |
| 2 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 108,80 | 10.9 | 10.9 | 20 | 300403344 |
| 3 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა | 1 | 46,40 | 4.64 | 4.64 | 20 | 300403344 |
| 4 | წყლის მრიცხველი | ახ.სოფელი | 4 | 37,76 | 3.78 | 3.78 | 20 | 300403344 |
| 5 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 8,96 | 0.90 | 0.90 | 20 | 300403344 |

**დანართი №2**

| № | შენობის დასახელება | მისამართი | სართული | ოთახების რაო-ბა | გასაიჯარებელი ფართობი კვ.მ | 1კვ.მ ფართის საბალანსო ღირებულება | ქონების გასხვისების ვადა (წელი) | იჯარის ქირის განაკვეთი (%) | საიჯარო ქირა 1 კვ.მ (წელიწადი) | „ბე“ 10% | ბიჯი 10 % | ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | ც.დადიანის ქ.№188 | I სართული | 5 | 77.83 | 68.24 | 5 | 20 | 13.65 | 13.25 | 1.36 | 20 |
| 2 | საყოფაცხოვრებო სახლი | ჭალადიდი | II სართული | 6 | 99.33 | 82 | 3 | 40 | 32.80 | 3.28 | 3.28 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2013 წლის 23 სექტემბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე''-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

*გამოსათხოვარი*

## ვ ა ჟ ა  შ ე ლ ი ა



ამ დღეებში ხობი ავტოსაგზაო შემთხვევამ შეძრა, რომელმაც სამი მეზობლის სიცოცხლე შეიწირა... მათ შორის იყო ყველასათვის პატივსაცემი, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება ბატონი ვაჟა შელია. მას თითქმის ყველა იცნობდა არა მარტო მისი ადამიანური ღირსებების გამო, არამედ როგორც ერთ-ერთ საუკეთესო რენდგენო-ლაბორანტს.

იგი დაიბადა 1930 წელს. ზუგდიდის სამედიცინო ტექნიკუმის და შემდგომში სამედიცინო კურსების დამთავრების შემდეგ მედიცინის დარგის მსახურებას შეალია თავისი შეგნებული ცხოვრება. მეუღლესთან, ნეტარხსენებულ თინა მაჭარაშვილთან ერთად ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დადგა და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა არჩეულ პროფესიას.

საზოგადოებაში უდიდესი სიყვარული, ხელისუფლებიდან კი ჯილდოები, მადლობები და საპატიო სიგელები დაიმსახურა. სამი, რომ იტყვიან, კარგი შვილი–მარინე, თამაზი და რევაზი აღზარდეს, მათ დაანათლეს პატიოსნება და კეთილშობილება, რომელიც ცოლქმარს მოჭარბებულად ჰქონდათ. მაგრამ წუთისოფლის კანონი მკაცრი გამოდგა ოჯახისათვის. ქალბატონი თინა 59 წლისა გარდაიცვალა. 20 წლის შემდეგ კი შვილი–ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ შელია გაეცალა წუთისოფელს. უდიდესმა მწუხარებამ წელში გატეხა, სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება, თავს ვერ მოერია, უფალს თხოვდა, (მიუხედავად შვილებისა და მათი ოჯახების უდიდესი პატივისცემისა), მალე შეეხვედრებინა თავისი შვილისათვის, უფალმაც ინება და რჩეულთა შორის დაუმკვიდრა ადგილი.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა, თავისი მეორე ოჯახის–საავადმყოფოს შესასვლელთან დალია სული. ალბათ რეალობის გაფიქრებაც ვერ შეძლო...

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, თან გაიყოლა უდიდესი სიყვარული მაგრამ დატოვა ტკივილი, რომელსაც მის ოჯახსა და ახლობლებს ვერაფერი გაუნელებს.

***ახლობლები***

*სულთათანა*

## თემურ შამათავა



ძალიან მწუხარეა სიტყვა–„გახსენება“, ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ შვილის, შვილიშვილის საფლავზე მოვიდრეკდით მუხლს და ცრემლებს დავღვრიდით. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, შვილები და შვილიშვილები გაგვაცილებდნენ იმ ქვეყანას. ბედმა თუ უბედობამ სხვაგვარად გადაწყვიტა. შენს გამზრდელ ბებიას მომიწია შენს საფლავზე მოსვლა ჩემო სანატრელო და საფიცარო ბიჭო. მერამდენე დაბადების დღეა უშენოდ. რა ვქნათ, ძალიან გვიჭირს, როგორ გძლია ავადმყოფობამ, როგორ მოგერია, სულში სიკვდილს ებრძოდი, ჩვენც შენთან ერთად ძალ-ღონეს არ ვიშურებდით ოღონდ გეცოცხლა, მაგრამ დავმარცხდით. უზარმაზარია შენი მამის, ძმის, მამიდის, მამიდაშვილის და საცოდავად დარჩენილი ბებიის მწუხარება, ვლოცულობთ შენზე ჩემო უბედურო შვილო, თემურ. ავადმყოფობით დაღლილო, მაგრამ სულით ძლიერო, შენ როგორი თბილი და მოსიყვარულე იყავი. რა ვქნათ, როგორ გავუძლოთ ამ უბედურებას. მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა.

***ბებია ვენერა, მამა თენგო, ძმა გიორგი, მამიდა ნინო, მამიდაშვილი დათუნა შამათავები.***

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს მარინა ლაგვილავას და ვაჟა ბუკიას მამისა და სიმამრის

**სერგო ლაგვილავას**

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს თამაზ შელიას მამის

**ვაჟა შელიას**

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ ჟოზეფინა და მურმან ბუკიებს მამისა და ძმის

**ჯუმბერ ბუკიას**

გარდაცვალების გამო.

# ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის ნარდის ტურნირი ხობსა და ჩაქვში



30 აგვისტოს, ხობის კულტურის სახლის ფოიეში გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, სტარტი აიღო გოგი ბუკიას სახელობის ტრადიციულმა ტურნირმა ნარდში. შეჯიბრი სამი დღე გაგრძელდა და 2 სექტემბერს დასრულდა. ტურნირი ტარდებოდა ნარდის საერთაშორისო წესდების შესაბამისად. (მსაჯები: ვლადიმერ გერგაია და მერაბ კიტია). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.



ტურნირში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის თემების, სოფლებისა და ქალაქის 64 მონაწილე.

ტურნირს ჰყავს ღირსეული გამარჯვებული ნოდარ ხურცია (ხობი), მეორე ადგილი ჯონი ფარცვანია (ხამისქური), მესამე ადგილი დავით გვასალია (ხობი). პირველი ადგილის მფლობელმა მონაწილეობა მიიღო ჩაქვში გამართულ ნარდის საერთაშორისო ტურნირში.

ტურნირის გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ბადრი ჯობავამ და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ.

4 დან 8 სექტემბერის ჩათვლით ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ გაიმართა ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის მეშვიდე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში, რომელიც განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ–„ხობის“ პრეზიდენტის, გოდერძი ბუკიას ინიციატივითა და უშუალო მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება. 2008 წლიდან, გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი შეტანილია საერთაშორისო გათამაშებების ცხრილში და მას ორგანიზებას უწევენ ნარდის საერთაშორისო ორგანიზაციები. მეორე წელია, გოგი ბუკიას სახელობის ტურნირი, ნარდის მსოფლიო ფედერაციის ეგიდით იმართება (პრეზიდენტი მარკო ფორნასირი–იტალია) და იგი შეტანილია ნარდის მსოფლიო ფედერაციის 2013 წლის ოქროს წრეში. წლევანდელი ტურნირის თანაორგანიზატორი საქართველოს ნარდის ფედერაცია (პრეზიდენტი–კახაბერ ნაჭყებია) იყო. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ფორმატი ყოველწლიურად ფართოვდება და მონაწილეებსაც შესაბამისად საინტერესო სიახლეებს სთავაზობს. გოგი ბუკიას სახელობის მემორიალურმა ტურნირმა სათანადო ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა, წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნის 80- მდე მოთამაშე, მათ შორის იყვნენ ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი ვიაჩესლავ პრიატკინი, ექს-ჩემპიონები–მაიკ სვაბოდნი, დენ ბენზიონი და თანამედროვე ნარდის ლეგენდა, მსოფლიოს 1 მონარდე–იაპონელი მასიუკი მოჩიზუკი, რომელმაც ტურნირის მონაწილეებს თანამედროვე ნარდის საკითხებზე ლექცია ჩაუტარა. ტურნირში აქტიურად მონაწილეობდა ხობის მუნიციპალიტეტის წლევანდელი ნარდის ჩემპიონატის გამარჯვებული ნოდარ ხურცია, რომელმაც საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა. ჩემპიონატს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ბადრი ჯობავა, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ხათუნა გერგაია და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები. როგორც ყველაზე ერთგულ მოთამაშეს, ტურნირში პრიზი ესპანელ მარკო მალას გადასცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა ქაჯაიამ. ხოლო პირველი ადგილის მფლობელი და გოგი ბუკიას სახელობის მემორიალური ტურნირის გამარჯვებული გერმანიის მოქალაქე გახდა.





ნარდში ასპარეზობას ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა.



## ფოტო განწყობისათვის



მარიამ ჩაზელიშვილი: „მამიკო მომენატრა“

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.